სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ „კვირა“ დღეს

№ 24 ივნისი 2 1896 წ. № 24

შინაარსი: თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის განცხადება.—გვირგვინის კურთხევაზე.—სხვა-და-სხვა ამბავი.—სიბრძნე სოლომონისა (ლეგენდა) დ. თომაშვილისა.—ზეპირ გადმოცემანი პირველი ამბავი.—ერნესტო როსსი.—დანტე ალიგიერი, ა.—ნიკოლოოზ ბარათაშვილი და მისი დრო, ხომლელისა.—ნუშო, მოთხრობა ვ. ბარნოვისა.—საქველ-მოქმედო საქმე.—„კვალის“ ფოსტა.—კერძო განცხადებანი და უმაღლესი მანიფესტი.—

ზედამხედველი კომიტეტი თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისა საყოველთაოთ აცხადებს ზემოხსენებულ ბანკის ბბ. დამფუძნებელ და მსესხებელ წევრთა საყურადღებოთ, რომ 19-ს თიბათვეს ამ 1896 წ. დილის 10 საათზე სათავად-აზნაურო შენობაში (სასახლის ქუჩა) არის დანიშნული არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრების საგანია არჩევნები შემდეგ პირთა სამგიეროთ, რომელთაც თავი დაანებეს სამსახურს: ზედამხედველ კომიტეტის წევრებისა—უ. თ. პ. ა. გრუზინსკისა, თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილისა, თ. დ. ა. გურამიშვილისა, თ. ლ. გ. ჯანდიერისა, თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილისა, თ. რ. დ. ერისთვისა, თ. ვ. მ. თუმანიშვილისა, ა. ი. კობიაშვილისა, პ. ი. ყიფიანისა, გ. დ. ჟურულისა. მმართველობის თავმჯდომარისა: თ. ი. გ. ჭავჭავაძისა. მმართველობის წევრის: უ. თ. მ. ა. გრუზინსკისა. დამფასებელ კომისიის წევრის: თ. ლ. ლ. ჩერქეზიშვილისა. გამგეობის წევრის ორი კანდიდატისა: თ. დ. ე. ჩოლაყაშვილისა და თ. ა. რ. ვახვახოვისა და ორი დამფასებელის წევრის კანდიდატისა.

„კვალის“ ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანონ.

გვირგვინის კურთხევაზე

ილით რომ გვირგვინის კურთხევა მოხდა კრემლის სასახლეში მოსკოვს, საღამოს მათი დიდებულება ახალი გვირგვინოსნები გამობძანდეი ბროლის დარბაზში. მთელმა რუსეთის წარმომადგენლებმა, რომელნიც იყვენ ამ დღესასწაულზე მიპატიჟებულნი, იხილეს ხელმწიფე მხიარული, სახე განსხივებული, მასთანვე მხიარულებდა, აღტაცებაში მოდიოდა მთელი რუსეთი თავის ახალგაზდა მეფის დღესასწაულზე.

მეათე საათის ნახევარზე ელექტრონის შუქით გაბრწყინებული დიდი კრემლის სასახლე და მისი სხივებფენილი დარბაზები გაივსენ ბრწყინვალე საზოგადოებით. ყველას თავთავისი ალაგი მიუჩინა

რიგის მიმცემმა აქ იყო მოგროვილი მთელი რუსეთისა და მთელ დედამიწის ზურგზე არსებული სახელმწიფოთა უდიდესნი წარმომადგენელნი. მდიდარი მორთულობა ქალებისა, ბრილიანტების პრიალი ცეცხლებრ აელვარებდენ მათ. ოქრომკედში გამოწყობილი დიდი სახელწიფო კარის კაცები, უცხო ქვეყნების წარმომადგენელთა საკვირველი მდიდარი მორთულობა, რომელიც იყო ვარსკვლავებით და სხვა-და-სხვა ორდენებით დაშვენებული, ძვირფასი თვლებით გაწყობილი ქსოვილი მრავალფერი აბრეშუმის ტანცმულობა აღმოსავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა თვალს ჭრიდა ყოველს მაყურებელს და აოცებდა ამა ქვეყნის საკვირველებით და დიდებული სიმდიდრით. მთელი კრემლის უბანი და მასთან მთელი თვალ-გადუწედენელი მოსკოვის სატახტო ქალაქი ელექტრონით და ჭრაქით უხვათ განათებული, წარმოადგენდა მზის სფეროს, სადაც განუწყვეტლათ ისმოდა მხიარული ხალხის აღტაცება და „ურას“ ძახილი.

ბროლის სასახლეების დარბაზებში მეათე საათზე გაისმა ყოველ მხრით ჩურჩული „ხელმწიფე მეუღლით მობრძანდებაო“. კარის შიკრიკებმა ხმა მაღლა წამოიძახეს: „მათი დიდებულება, მათი დიდებულებაო!“ ყველანი ყურთასმენათ გადიქცენ. ყველას თვალები მიიქცა იქითკენ, საიდანაც გამოჩნდენ ბრწყინვალე ტანცმულობაში კარის კაცები —რიგის მიმცემნი, გამოვიდენ ექვს გუნდათ სხვა-და სხვა დიდებულთა გროვა ერთი მეორეზე უმაღლესთა წოდებათა; ბოლოს მეშვიდე გუნდში მობძანდებოდენ პორფირ-მოსხმულნი და ძვირფასი თვალ-მარგალიტით შემკულნი გვირგვინოსანნი მეფე და დედოფალი, რომელთაც გარ-შემორტყმოდენ მათი უმაღლესობანი ხელმწიფე იმპერატორის სასახლის წევრნი. ისეთი თვალის მომჭრელი და დიდებული სანახაობა იყო, რომ მისი მნახველი ქვეყნათ ეველარას ნახავდა უკეთესს. ეს იყო რაღაც კაცის თვალისა და გონების მომხიბლველი ციური დღესასწაულობა. ზღაპრათ თუ სადმე იყო ნათქვამი, თვარა ნამდვილათ არავის ჯეროდა ასეთი ბრწყინვალება, დიდებულება და აურაცხელი სიმდიდრე იმპერატორთა ფუფუნებისა.

ყოველივე ეს რომ ხდებოდა და ხელმწიფის სიმდიდრით და დიდებით გაკვირვებული იყო ქვეყანა, აბა ვინ იფიქრებდა, რომ ასეთს მხიარულებას ზედ დაერთვოდა რამდენსამე საათს შემდეგ გამოაცებელი უბედურება ხოდინის ველისა. ვინ მოთვლის, ვინ გამოთქვამს ენით იმ მწუხარე შთაბეჭდილებას მთელი მოსკოვის ქალაქისას. ყველა თავზარ დაცემული გეგონათ, ყველამ დაჰკარგა საზრი და გონება; ხალხის ურდო აქეთ-იქით დახეტიალობდა და გაისმოდა სიმწარის ძახილი: „არიქა გეშველეთო“!

ნეტავ რამ მოახდინა ასეთი გასაოცარი მოულოდნელი უბედურება?..

მოსკოვის გარეთ-უბანში არის ტრიალი მინდორი ხოდინისა, რომელსაც საზღვრავს ერთი მხრით ვაგანის სასაფლაო. ეს ნაბიჯზე გზა-ტკეცილიდან, რომელიც მიემართება ვაგანის სასაფლაოსკენ, გააშენეს სასმელ-საჭმელის სამზადისი პატარ-პატარა სახლები, რომელთაც საერთო სახურავი ჰქონდათ; სახლსა და სახლ შუა არშინ ნახევარი გასავალები იყო დატოვებული, რომ ხალხი, როცა მიადგებოდა სახლს, საცა უნდა მიეცათ დანიშნული ულუფა, მერე ამ ვიწრო დერეფნით უნდა გასულიყო მეორე მხრით მინდორზე სასეირნოთ და სამხიარულოთ.

ათ-ათი პატარ-პატარა სახლები, ერთი ჭერით შეერთებული, ცალ-ცალკე იდგენ; ამისთანა პატარა სახლების გროვა ხოდინის ველზე ბევრი იყო გაშენებული, რომ ყოველ ჯუთხით ეძლიათ ხალხისთვის ულუფები სასადილოთ ჭ სალხინოთ. იმათ პირი მოსკოვის ქალაქისკენ ჰქონდათ მიქცეული, საიდანაც უნდა მოსულიყო დაბალი ხალხი. ამისთანა სახორაგო სახლების გასწვრივ, გზატკეცილის გვერდით, ღრმა რუ იყო, ერთი არშინის სიგანე, გაყვანილი, რომელიც თავდებოდა სახორაგო სახლებთან ღრმა და ოცდა ათი საჟენის სიგანე თხრილით. ამ თხრილს ალაგ-ალაგ ორი საჟენი სიღრმე ჰქონდა და სიგძით ნახევარ ვერსტზე უწევდა. თხრილსა და სახორაგე სახლებ შუა იყო განით ოცი ნაბიჯი სწორი ალაგი, სადაც უნდა დაეყენებიათ ხალხი, ულუფების მისაღებათ მოსული. მაგრამ უცებ ხალხი იმდენი მოგროვდა, რომ იმ სწორ ალაგზე აღარ დაეტია. ულუფის დარიგება უნდა მომხდარიყო თვრამეტ მაისს დილის ათი საათიდან, მაშინ როდესაც ხალხი მოაწყდა წინა დღის ნაშუადღევიდან. უნდა გენახათ ეს ხალხი, ქარხნებიდან წამოსული, ღარიბი და დაფლეთილ ძონძებში გახვეული, რომელსაც წლითი-წლობამდე იქნება ერთხელ კარგა გაძღომა არ ღირსებიათ. მათ გამოუცხადეს, რომ დიდებული ხელმწიფე თავის ბრწყინვალე დღესასწაულობას თქვენც გაგიზიარებს და სამეჯლისოთ მიპატიჟებული ხართო ხოდინის ველზე თქვენ-თქვენი ულუფების მისაღებათო. წარმოიდგინეთ ეს გაჭირვებული ხალხი რა ვულისმისწრაფებით უნდა მიშურებოდა იმ ალაგს, საცა მას ლხინი, გამასპინძლება და მხიარულება მიელოდა. აბა, ვინღა შეაკავებდა მას წესიერებისათვის.

წინაღამით არამც თუ მოსკოვის დაბალწოდების მუშა ხალხი მიაწყდა ხოდინის ველს, არამედ გარემო სოფლებიდან ერთი დიდი ურდო გლეხებიც

ქალი და კაციც იქ გაემართა. ყოველ კუთხით მოდიოდა ხალხი, ქუჩებში ტეეა აღარ იყო. შუაღამე იყო, რომ სახორაგე სახლებიდან მთელი თვალ-გადუწედენელი ხოდინის ეელი, რომელზედაც მრავალი ღრმა თხრილები იყო გაკეთებული სულ ხალხით აიესო. აქა-იქ ცეცხლიც აანთეს, მოშორებით ურმები იყო გამწკრიეებული სოფლებიდან აქ მოსული ოჯახებისა. უცბათ გაიმართა აქვე საჭმლის და სასმელების სავაჭრო დუქნები. ამ საშინელ ურდოს თანდათან ემატებოდა. ხალხმა გაავსო ყველა თხრილები და ცარიელი ალაგები, ასე რომ დილის ხუთ საათზე ამ ადგილებზე ირეოდა რამდენიმე ასი ათასი სული კაცი და ქალი. ამ დროს ზეევიდან ნემსიც რომ ჩაგეგდოთ, არ ჩაეტეოდა კაცსა და კაცსშუა. ხალხი ისე აწეებოდა ერთმანეთს, რომ განძრეევის თავი არავის ჰქონდა, ბეერს გული ეყრებოდა და თავის გონებაზე აღარ იყო. ის თვალებ-დახურული, უკრძნობი მიცემოდა უნუგეშო განსაცდელს. ამ დროს გაისმა გულის-შემზარავი ღრიალი და კენესა გაჭყლეტილთა. ეინც სახორაგო სახლებთან ახლოს იდგა, ყვიროდა: „მოგვეცით ბარემც ჩვენი ულუფა, სივიწროემ და ლოდინმა დაგეტანჯაო“. მართლაც ზოგიერთი სახლებიდან დაუწყეს ულუფის დარიგება. უცბათ გაისმა ყვირილი: „ულუფას გვირიგებენო“. ეს უზარ-მაზარი წინა გროვა ხალხისა მიასკდა სახორაგო სახლებს და აქ მოხდა საშინელი ამბავი. ეინც მოასწრებდა ულუფის მიღებას, ის შედიოდა წვრილ გასავალში და უცებ აქ შეიქუჩა ხალხი, სახლების კედლებ შუა შეიმწყედა და მომწოლი ხალხი ეელარაფერმა შეიკავა. კედლებს შუა მომწყედეულს კაცებს გზა აღარ ჰქონდათ მეორე მხრით გასულიყვენ. შეიქნა გოდება გაჭყლეტილთა, მრავალნი მიეჭყლიტენ სახლების კედლებზე; მათ გამოუვდათ გარეთ შიგნეულობა და ცხვირ-პირიდან წასკდათ სისხლი. ზოგი გულშემოყრილი იკეცებოდა იქვე ძირს და მაზედ გადადიოდა ურდო. ასეთი გასრესილები ისე დამახინჯებულები იყვენ, რომ მათი გამოცნობა პატრონებისაგან შეუძლებელი იყო. ეინც თხრილებში იყვენ, იმათგან ავიდა ორთქლი, რომელიც იქცა ღრუბლათ და დაფარა მგოდებელი ხალხი, რომელთ შორის მრავალი გაისრისა, ისმოდა მხოლოთ ხრჭენა-გოდების ხმა და აღარავინ კი აღარ იხედებოდა მათგან ადენილ თეთრი ბურუსისაგან. გაისმა საშინელი ღრიალი: „ეინ ხართ მამაკი, გეიშველეთო“. ასეთი ვაების გამო ხალხმა დაიხია უკან და დაიწყო დენა. ქუჩებში ტეეა აღარ იყო და სადაც უბედურება ხდებოდა, იქ კი ეელარავინ მიატანა საშველათ. ბოლოს, რათიც იქნა, დაცარიელდა ხოდინის ეელი ხალხისაგან და მაშინ აღმოჩნდა გულისშესაზარავი სურათი. გასრესილი ხალხი და დამახინჯებული ლეშები ჭერეხიეით ეყარენ თხრილებში და ველზე. მაშინვე დაუწყეს მათ ურმებით და ფურგონებით ზიდვა. ატყდა ერთი საშინელი ქვითინი და თავში ტყეპა ნაცნობთა, მეგობართა და მახლობელთა ნათესავთა: ყველა ეძებდა თავის მკედარს. ამ სახით ორი ათასზე მეტი მოკლული და დასახიჩრებული აღმოაჩინეს.

ეს დიდებული ბრწყინვალე დღესასწაულობა უცბათ გადიქცა ბნელ მწუხარებათ. შეწუხდენ გვირგვინოსანნი თავის ხალხის უბედურებაზე და ცდილობდენ ნუგეში ეცათ გაჭირეებულთა ჭარისუფალთათვის უხვი შემწეობით. 19-ს მაისს ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით გადახდილ იქმნა კარის სამღვდელოებისაგან მიცვალებულთათვის წირვა და პანაშვიდი. დაჭრილები წაიყვანეს საავათმყოფოებში, სადაც ისინი ინახულა ხელმწიფე იმპერატორმა და მსმა უაეგუსტესმა მეუღლემ ნუგეშ-საცემლათ.

ბოლოს დაისტამბა მოწყალების დეპეშაც მთავრობის უწყებაში:

„მისი იმპერატორებითი დიდებულება—იწერებოდა კარის მინისტრი—ღრმათ შეწუხებული იქმნაო უბედური შემთხვეევით და ბძანა შემწეობის გაცემა ჭირისუფლებზე. დაურიგდეს ას-ასი თუმანი, ეინც მოკლულ იქმნა, იმათ სახლობებს და მსხვერპლთა გასასვენებელი ხარჯები ხელმწიფე იმპერატორის საკუთარ ხაზინიდან მიეცესო“.

სხვა-და-სხვა ამბები.

ᲡᲣᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲗᲐ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ამ ჟამათ ამიერ კავკასიაში ჰკრეფენ ცნობებს გიჟებზე, რადგანაც განზრახვა აქვთ დააარსონ ჩვენ მხარეში თავშესაფარი საზოგადოთ ყველა სულით ავათმყოფთათვის. რამდენათ სასარგებლოა ამგვარი დაწესებულება ჩვენში, სადაც სულ უყურადღებოთ არიან მიტოვებული სხვა-დასხვა გვარი სულით ავათმყოფნი, ვგონებთ, ამაზე მეტია ლაპარაკი. ვინ იცის, რამდენი უბედურება ხდება ჩვენი საზოგადოების დაუდეერობის გამო! მთელ ამიერ-კავკასიაში არ მოიპოვება ისეთანა დაწესებულება სულით ავათ-მყოფთათვის, რომელიც რამდენიმეთ მაინც აკმაყოფილებდეს აწინდელი მეცნიერების მოთხოვნილებას. მართალია, თფილისში არსებობს გიჟების თავშესაფარი, მაგრამ ეიის მოქმედების ფარგალი ძლიერ ეიწროა, სხვა რომ ყველაფერი მხედველობიდან გაუშვათ. ამიტომ ჩვენ სიხარულით

ეგებებით ახალ ცენტრალურ თავშესაფარის დაარსების განზრახვას სულით ავათ-მყოფთათვის მთელ ამიერ-კავკასიაში. ამიტომ ადგილობრივ ადმინისტრატიული დაწესებულებათა მოვალეობას შეადგენს, რაც შეიძლება სწორი ცნობები შეკრიბონ სულით ავათ-მყოფების შესახებ, რომ მით გაუადვილონ საქმის მოწყობა მომავალ სულით ავათ მყოფთა თავშესაფარს.

***

მთაწმინდაში (ე. ი. წყაროს უბანში) ამ ჟამათ ძლიერ გახშირებულია ქურდობა. 23 მაისს ღამით ერთ მენახშირეს წაართვეს რაც კი გააჩნდა; გაჰქურდეს იმავე წყაროს უბანში ერთი ლუდხანა, გაუტეხეს დუქანი ნემსაძეს 25 მაისს და გაალაგეს თუ კი რამ მოიძებნებოდა ხელში მოსაგდები. სხვაგანაც ბევრჯერ ნახეს ქურდები, რომ ტეხდენ სახლებს და ქურდობას ჩადიოდენ. კარგი იქნება, რომ ყურადღებას მიაქცევდენ ამას.

***

27 მაისის წინა-ღამეს მტკვარი ხელ-ახლა ადიდდა, მაგრამ ისე კი, რომ ყველა წინანდელი წყლის ადიდება სრულებით დაგვავიწყა. აი რა სურათს წარმოადგენდა ამ დღეს მტკვარი თბილისის მიდამოებში. ყველა კუნძულები, გარდა მადათოვის კუნძულის მცირე ნაწილისა, წყლით იყო დაფარული. რაც ბაღები მოიპოვებოდა მუშტაიდის ახლო-მახლო სულ წალეკა წყალმა. წალეკა და გააფუჭა წყლის საქაჩავი მანქანა. მტკვრის ნაპირების გარეგანი შემოხაზულება შეიცვალა. ყველა ტიეების მისადგომი ადგილები განადგურებულია და თვით ტიეები უმეტეს ნაწილათ წყალმა მოიტაცა. ვერის ტიეების მისადგომთან რაც დუქნები იყო, თუ სულ დანგრეული არა, სანახევროთ მაინც გაფუჭებულია. მთელი ნაპირის ქუჩა თავისი სახერხები ქარხანებით და სარდაფებით წალეკილია. წისქვილების მუშაობა შეჩერებულია. მადათოვის კუნძულიდან დარჩა მხოლოთ მცირე ნაწილი შეზვინული მიწისა, რომელსაც ახალი ადიდებისაგან სულ მთლათ გაქარწყლება მოელის. რიყის მცხოვრებთა დაზარალება და გაჭირვებული მდგომარეობა წლევანდელი წყალ-დიდობისაგან, ყველამ იცის. აელაბრის ხიდები ამ უკანასკნელ ადიდების დროს ძლიერ საშიშარ სანახაობას წარმოადგენდა, წყალი თითქმის ხიდებს გადადიოდა. ნათლულის მიდამოებიც ძლიერ დააზარალა ამ წყალ-დიდობამ. გაზეთი „კავკაზი“ ახლაც გვაუწყებს, რომ ადიდებულ წყალში მუხრანიანთ ხიდთან დაუჭერიათ მეთევზეებს აკვანი ბავშვით, რომელიც რაღაც სასწაულით, ცოცხალი გადარჩენილა. არა უკეთეს მდგომარეობაში არიან სხვა საქართველოს კუთხეებიც: ალაზნის ველი მთლათ წყალში დგას. ყვირილის ახლო-მახლო დიდი სეტყვა მოსულა, ბაქოს და კავკასიის სამხედრო რკინის გზაც წამ-და-უწუმ ფუჭდება და კიდევ ბევრი სხვა უბედურება თავს გვაწვეს.

***

ქიზიყი: ამ წლის აპრილის ბოლო რიცხვებიდან მოკიდებული დღემდის ცუდი ამინდები დგას ჩვენში, რამაც დიდი ზარალი მოგვიტანა. 19 მაისს საღამო ხანზე, დასავლეთიდან საშინელი ელვა-ქუხილ-გრგვინვით წამოვიდა ღრუბლები და მას მოჰყვა თავზარ დამცემი სეტყვა. თხილის გულის ოდენა იყო და რომ დიდხანს გაგრძელებულიყო, თქვენი მტერი სრულიად ჩარეგვავდა აქაურობას; მაგრამ არც ამას დაუტოვებია დაუზარებლათ ვენახები, ბევრი მტევანი და რქა გააყრევინა. როგორც ამბობენ, ქედელ-ანაგისაკენ უფრო მომეტებული და სხვილი სეტყვა ყოფილა, რასაც საგრძნობელი ზარალი მოუტანია იმ სოფლებისთვის.

***

გამუდმებული წვიმების გამო ყოველ კვირას გადადებენ ხოლმე ლატარია ალეგრის, რომელიც უნდა წერ. კით. გამ. საზ. სასარგებლოთ გაიმართოს. დღესაც, კვირას 2-ს თიბათვეს, არ-ს დანიშნული ალეგრი მუშტაიდის ბაღში და თუ დარი ხელს შეუწყობს, იმედია, როგორც კველავ, ჩვენი საზოგადოება ყურადღებას არ მოაკლებს.

***

ჩვენ შევიტყვეთ შემდეგი ამბავი: ყოველად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია გვირგვინის კურთხევის დროს ქუთაისის გუბერნიის მარშლის თ. დ. ს. წერეთლისათვის: უბოძებია კამერგერობა, თავის სუფრაზე მიუწვევია შემდეგი სიტყვებით: დიდათ გმადლობთ თქვენი ერთგულ-ქვეშევრდომობითი მოღვაწეობისათვის.

სიბრძნე სოლომონისა.

(ლეგენდა)

III *)

ეჰ პატარა სოლომონ,
ჯოსზე ზის, ფიქრობს—ცსენია;
მაგრამ ასლაგე ეტყობა
იქნება დიდი ბრძენია.
მამასთან მოდის და ჰკითხავს:
რამ დაგაწმუნა, მამაო?
თუ შეგაშინა უზომოთ
მოსულის მტრისა სმამაო?..
თუ ტუდი რამე ნიშანი
ნახე, ან გესმა ყურითა?
მითხარი, გამაგებინე,
ამასა გვედრი გულითა.
—არც რა მინახავს ნიშანი,
და გერც მაშინებს მტერია;
მაგრამ მაშინებს, რომ თურმე
დღეს ტოდგა შემოგვერია.
და დაწვრილებით უამბო
შვილს თვისი საჭმუნავია,
თუ ტოდგა როგორ ტრიალებს,
რას შვრება მოურავია,
რომ ის აწუხებს, აკვნესებს—
მის სალსში რაც ამბავია.
აქ სოლომონმა წუნარათ
ეს მოახსენა მამასა:
—ღვთის შეწევნითა, რომელსაც
სულით და გულით ვესავო,
ვინ მართალია, შეკიტყობ,
მოურავი, თუ ესაო.
ეს თქვა თუ არა, მან სანდო
კაცი მოისმო მალულათ;
გაგზავნა, და ძმური სიტყვით
ეს დაავალა ფარულათ:
—„მარჯვე კაცია ქვეყნადა
შემსრულებელი ძნელისა!“
წადი,—იმ ადგილ-მამულის
პატრონის უწინდელისა
სთქვალი ნასე როგორმე;
მოთხარე მისი ძვალია
და მომიტანე, მე შენთვის
ეს დამიდგია ვალია.
კაცი წავიდა. დავითმა,
ვით სოლომონმა უბრძანა,
მოიხმო ის მომჩივანი
და მოურავი ურჩია.
კაციც დაბრუნდა დაღლილი
რრის დღის ნამგზავრებია;
მან შეასრულა მტკიცეთა
რაც ჰქონდა ნაბრძანებია.

IV.

დაღამდა. დილა გათენდა,
მზე ამოვიდა ნათელი,
უსვათ ანათებს ქვეყანას
ეს დიდებული კანდელი.
ბუნება ტალქობს, ელვარებს,
მზის სხივი ნამზე ბრწყინავლებს,
ჰგალობს ტოროლა და ცაში
შორს, მაღლა, მაღლა ტრიალებს.
ერუსალიმის მცხოვრებნი
მოძრაობაში არიან:
ამ დილას სასასლისკენ
ეკელანი მიიჩქარიან.
იქ დღეს ბეფის ძე—სოლომონ—
არჩევს საქმესა მძიმესა;
ბევრთა, ეს რა გაიგონეს,
იცინეს, გაიღიმესა...
მაგრამ მიგიდენ, რა ნახეს:
სოლომონ ტასტზე დამჯდარა,
და დიდებული დავითი
შვილის წინ ფესზე დამდგარა!
და იქვე, სოლომონის წინ,
მოურავ—მომჩივანია
დგანან თავ დახრით, მდუმარეთ,
გაუკმენდიათ სმანია.
თვით სოლომონის ბრძანებით
იქ შემოვიდა დალაქი;
ორთავეს სისხლი გაუღო,
სედავდა მოელი ქალაქი,—

*) იხ. „კვალი“ № 23.

და ცალკე ჯაჰზე დასხა
მან სისხლი მოურჩვისა,
და კვლავ მეორე ჯაჰზედ —
სისხლიცა მომჩიგანისა.
ამისა შემდეგ თვით ადგა
ბრძენი სოლომონ დიდი;
პატარამ, მაღალ მდგომარემ
აუბნა ენა ტკბილია
და უთხრა სალხსა: — ჭე სალხნო!
დღეს მამიჩემის ერია
უწესო გზასა დაადგა,
მას ტოდვა შემოერია.
ნდობა არ არის სალხშია,
წახდა ნამუსი, პირია,
ალარვის ალარ აწუსებს
მეზობლის გასაჭირია!..
სალხი დაეცა ზნეობით,
პატიოსნება წამხდარა.
და თქვა იქაკე რაც რამა
უსამართლობა მომხდარა.
რა თქვა ყოველი ყოფილი,
სელში აიღო ქვალია,
ყველანი მას მიაქერდენ,
იმისკენ ჭქონდათ თვალია,
თქვა სოლომონმა: — ჭსედავდეთ,
დღეს ეს ქვალია მსაჯული;
ეს რომლის სისხლმაც შეჭღებოს,
იმისი არის მამული.
მოურჩვისა სისხლშია
მან ქვალი ჩადო პირველათ;
თვით მოურჩვი თავ-დასრეთ
ჩუმათ იქვე დგა პირ-ბნელათ.
კარგა სანს იდგა სისხლშია,
როს ამოიღეს ქვალია,
არც კი დასველებულიო,
იო ისევე მშრალია.
მოურჩვი მთლათ გაშვადა,
ვერ სუნთქავდა, ველარც სვნეშდა;
გული, სული შეუწუხდა,
ენა პირში გაუშეშდა...
მომჩიგანიც იქვე იდგა,
არც მას ჭქონდა სიტყვის ბება;
მისსა სისხლში როგორც ჩადგეს
ქვალი წამსვე შეიღება!

სოლომონმა სალხს მიმართა:
— ჭა, შეიღება ქვალიო!
ზენას მადლობა შეგწირეთ:
გვიჩვენა სამართალიო.
და სალხმა ერთ ხმაო შებღალა:
„დიდება მაღალ ღმერთსაო,
დიდება მეფის ქესაო —
დიდსა სოლომონ ბრძენსაო!“
ღმერთსა მადლობდა დავითი,
სიამოვნებით როკავდა,
და მომჩიგანის გულიცა
სიხარულისგან ტოკავდა...
მას ჩაბარეს მამული,
გაუშვეს მადლიერია;
გაოტებული ამ ამბით
დაბრუნდა მთელი ერია.
მოურჩვი არ დასაჯეს:
სასჯელათ ისიც კმარა,
გაშვადა, შენანებულმა
წინ თავი მოიხარა...
ღმერთსა მადლობდა დავითი:
მემკვიდრე კარგი მყავსაო,
ჯერ პატარაა, მაგრამ,
ასლავე დიდ ბრძენს ჭგავსაო!
ამას შემდეგ დავითი
უმისოთ არ-რას შვრებოდა:
თუ რამე საქმეს არჩევდა,
სოლომონტ დაესწრებოდა.

დ. თომაშვილი.

ზეპირ გადმოცემანი,

ზემო იმერეთში შეკრებილნი და ჩაწერილნი გ. წერეთლის მიერ.

გარსია ლონღაძის ნაამბობიდან.

(ეს კაცი ოთხმოცი წლის მოხუცებულია, ყურს აკლია.)

პირველი ამბავი.

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ მეორე, უკანასკნელი მეფე იმერეთისა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ იმერეთის სამეფო ტახტი დაეცვა გარეშემოსევისაგან. ის თვალ-ყურს ადევნებდა ზურაბ წერეთლის მზაკვრულ მოქმედებას და ბოლოს რაკი დარ-

წმუნდა სახლთხუცესი მღალატობსო, განიზრახა მისი მოკვლა. მან უკვე გასცა ბძანება, ზალიკა აბაშიძეს სახლთხუცესობის ადგილი მიეღო იმ პირობით, რომ დახმარებოდა ზურაბ წერეთლის მოკვლაში. ეს რომ ზურაბ წერეთელმა შეიტყო, გავარდა ქართლში ციციანოვთან საიდუმლოთ მოსალაპარაკებლათ, რომ მას იმერეთის დაპყრობაში დახმარებოდა და თვით მეფე სოლომონ რუსის ჯარის შემწეობით ხელში ჩაეგდო. იმერეთის მეფემ ზალიკა აბაშიძის რჩევით საიდუმლოთ მიუჩინა ეგნატე ლომიძე ზურაბ წერეთელს მოსაკლავათ. თავის მხრით ზურაბ წერეთელმა ადრე შეიტყო ეს განზრახვა; მის კარზე მისულს, ეგნატე ლომიძეს, არა უთხრა რა, მაკრამ ბასილიკი ღონღაძე განაზრახა: მეფის მოგზავნილს თვალ-ყური ადევნეო, დადგა აღდგომა ღამე. განთიადისას შემოჰკრეს ზარი ზურაბ წერეთლის კარის ეკლესიაზე. მაშინ ზურაბ წერეთელი იდგა იქ, სადაც დღეს განსვენებულის თავადის ალექსანდრე მიხეილის ძის წერეთლის სასახლე დგას დაბა საჩხერეს. თავადნი, აზნაურნი, ეაჭარნი და გლეხნი, სადღესასწაულოთ გამოწყობილნი, წითელი კვერცხებით მაისწრაფებოდენ სახლთხუცის კარის ეკლესიაზე, რომ აღდგომის ლიტანია არ გამოჰპარეოდათ. სხვათა შორის გაემართა კარის ეკლესიაზე ეგნატე ლომიძეც. იმას უნდოდა გადარჯებოდა ზურაბ წერეთელს განის შესავალ კარებში, რომელიც იყო გამოჭრილი სასახლის პირ-და-პირ და წირვის გამოსვლისას, როცა გამოვიდოდა სახლთხუცესი საყდრიდან, მაშინვე უნდა დაეცა მკერდზე მისთვის ხანჯალი. ბასილიკი ღონღაძე უკან აედევნა ეგნატე ლომიძეს და, როგორც კი ის ჩაესაფრა ზურაბ წერეთელს საყდრის შესავალ კარებში, ბასილიკმაც მიუსწრო. ჯერ კიდევ ღამე იყო და არა ჩნდარა. სასახლიდან ჩამოვიდა ზურაბ წერეთელი და ხელში ეჭირა ანთებული კელაპტარი. მას უკან მოდევდა დიდ ძალი ხლებელებისა, აგრეთვე კელაპტრებ ანთებული. ამდროს ბასილიკი ღონღაძე დაეცა თავს ქორიკით ეგნატე ლომიძეს და მძლავრი მკლავებით შეიპყრო იგი. მას წაეხმარენ სახლთხუცის მხლებელები და შეჰკრეს მაგრათ წელსაკიდი ბაწრით. აღდგომის მეორე დღეს ზურაბ წერეთელმა ეგნატე ლომიძე ხელ-გაკრული გაუგზავნა მეფეს ვარციხეს და შეუთვალა: „თქვენი გამოგზავნილი აღდგომის ძღვენი თქვენთვისვე მიახლებიაო“.

ერნესტო როსსი.

ეპეშით მოვიდა ამბავი, რომ 23 მაისს იტალიის ქალაქ პესკიერაში გადაცვლილა გულის ავთმყოფობით წარჩინებული იტალიელი დრამატიული მსახიობი როსსი, რომელიც კარგი ნაცნობი იყო ჩვენი საზოგადოებისა. თექვსმეტ მაისს ის გაემგზავრა ფლორენციაში და გზაზე პესკიერას ქალაქში უცებ შემოაწვა გულის ჭიდილი. წარჩინებული მსახიობი ისეთი მძიმე ავთმყოფი შეიქნა, რომ პესკიერს იქით აღარ განუგრძვია მოგზაურობა. მისმა ცოლ-შვილმა შეიტყო თუ არა როსსის მძიმე ავთმყოფობა, მაშინვე გამოეშურა ფლორენციიდან პესკიერას. ეს ამბავი მოხდა იმ დროს, როცა მსახიობი ბრუნდებოდა შინ რუსეთში მოგზაურობიდან, სადაც მას გაუმართეს ბრწყინვალე დღესასწაული მისის ორმოცდა ათის წლის მოღვაწეობისა და ყოველგან აღტაცებით მიიღეს.

ერნესტო როსსი, სახელ-განთქმული იტალიის მსახიობი და ნიჭიერი დრამების მწერალი დაიბადა 1829 წელს ლივორნოს ქალაქში. ჯერ კიდევ თუთხმეტის წლის ახალგაზდა იყო, რომ შევიდა პიზის ქალაქის მსახიობთა დასში საწერთნელათ და 1846 წელს გენუის ქალაქში პირველათ ეჩვენა საზოგადოებას შეყვარებულის როლში. მაყურებელნი აღტაცებაში მოვიდენ მისი თამაშით და ახალგაზდა როსსმა მაშინვე გაითქვა სახელი ნიჭიერი მსახიობისა. 1847 წელს ი თამაშობდა მილანის სცენაზე და 1852 წელს იქიდან მიიპატიჟეს ტურინის სცენაზე. ამას შემდეგ იმან დაიწყო საზღვარ-გარეთ მოგზაურობა და დიდი სახელი მოიხვეჭა ხელოვნური თამაშით. მისი საუკეთესო როლები იყო „ოტელლო“, „ჰამლეტი“, „სიდი“, „ფაუსტი“ და „ლუდოვიკ მეთერმეტე“ (ფრანცუზის მწერლის დელავინის ტრაგედიაში). როსსი, როგორც ხელოვანი მსახიობი ბძანებლობდა სცენაზე და სცენური ხელოვნება იმდენათ ესმოდა, რომ ბევრი წარმატება მისცა ევროპის ახლანდელ სცენას თავისი ტეხნიკით. რაც მის დრომდე შეუძლებელი იყო, იმან თავისი მოხერხებით და ახალი საშუალების შემოღებით შეაძლებინა ევროპულს სცენას. ამას გარდა მის თამაშობაში ძალიან ღრმათ იყო აღნიშნული უღირსი კაცის თვისებები, მწუხარებით და შავი ფიქრებით მოცული სულის კვეთება კაცის ზნეობრივი არსებობისა. მან დაწერა რამდენიმე შესანიშნავი დრამები. „ადელი“, ეს განსაკუთრებით წარჩინებული მსახიობის რისტორის როლისათვის იყო შეთხზული, კომედია, სახელათ „გიენა“ (მგელ-კაცა) და „მხედრის ლოცვა“. ამასთანავე გამოსცა მან თხზულება

ერნესტო როსსი.

სახელათ „დრამატული განვითარება“, რომელშიაც მან ბევრი ახალი აზრები ასწავლა ქვეყანას სცენაზე მოხერხებულობის შესახებ. ბოლოს დაწერა მან თავისი ავტობიოგრაფიაც. 1890 წელს ერნესტო როსსი გვეწვია საქართველოში, საცა ქართველმა საზოგადოებამ და ჩვენმა მსახიობთა გუნდმა გაუმართეს სადილი და დიდი პატივისცეს. ერნესტო როსსის მეტათ შეუყვარდა საქართველოს ბუნება და მისი შვილები. იგი თავის მოგზაურობაში კარგი სიტყვებით იხსენიებს ქართველებს და წარმატებას უქადის მათს თეატრს. ბათუმში მან წარმოადგინა რამდენიმე თავის საყვარელი როლი: „ჰამლეტი“, „კაროლ ლირი“ ᲓᲐ „ოტელლო“. ვისაც როსსის თამაშობა „ოტელლოსი“ არ უნახავს, ის ვერც კი წარმოიდგენს „ოტელლოს“ აზღვაევებულს გულისთქმას და მის ცხარე ხასიათს.

ამ ნომერში არის როსსი დახატული ორ მის საყვარელ სხვა-და-სხვა როლებში: „ოტელლოში“ და „კაროლ ლირში“.

ერნესტო როსსი სხვა-და-სხვა როლში.

მეფე ლირი. ოტელლო.

ფიანდაზი ალეგორიული.

დანტე ალიგიერი.

ყველასთვის ცხადია, რომ ჩვენმა ცხოვრებამ უკვე შექმნა ნამდვილი ქართველი მკითხველი, ე. ი. ისეთი ფართო ფრე, რომელსაც ნამდვილ მოთხოვნილებათ გადაჰქცევია კითხვის სურვილი და რომელსაც მხოლოთ ქართული ლიტერატურის შემწეობით შეუძლია ამ სურვილის განხორციელება. თქმა არ უნდა, ვისაც უცხო ენების ცოდნა შეძლებას აძლევს უფრო საესებით დაიკმაყოფილოს ეს გონებრივი მოთხოვნილება, ის მხოლოთ სხვა აზრით თუ იწუხებს ჩვენი ნათარგმნი მწერლობის სიღარიბეს, მაგრამ რაც შეეხება იმ ნაწილს ჩვენი მკითხველის საზოგადოებისას, რომელიც ყოველ ხალხში უმრავლესობას შეადგენს და რომელმაც მხოლოთ სამშობლო ენა იცის, ეს ნაწილი, ჭეშმარიტათ, დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. სიღატაკე ჩვენი ნათარგმნი მწერლობისა ისე ცხადია, რომ ამას ყველა კარგა გრძნობს. ჩვენ ჯერ არ გვაქვს თარგმანი უცხო ერთა კლასიკებისა, ე. ი. გვაკლია ის, რაც ყოველ განვითარებული ლიტერატურის აუცილებელ კუთვნილებას უნდა შეადგენდეს. მხოლოთ ამ მსოფლიო გენიოსთა გაცნობას შეუძლია მისცეს მკითხველს ნამდვილი კრიტერიუმი (საზომი) სხვათა და თვისთა მწერალთა დასაფასებლათ, მხოლოთ მათი გაცნობა მიანიჭებს მკითხველს ჭეშმარიტ სიამოვნებას, ნამდვილ ესტეტიურ კმაყოფილებას, მხოლოთ მათ შეუძლიათ აამაღლონ და ასწიონ ადამიანის დაცემული აზრი და გრძნობა, მოძრაობაში მოიყვანონ მისი ფიქრი.

დანტე ალეგიერი ერთი იმ იშვიათ მსოფლიო გენიოს-პოეტთაგანია, რომლებზედაც ახლა გვქონდა ლაპარაკი. იგი იმდენათ უცნაურია ჩვენთვის, რომ აქ მოყვანილი მისი თხზულებიდან ამოღებულ სურათის აზრს იქნება ვერც კი მიხვდეს მკითხველი, თუ მოკლეთ მაინც არ გავაცანით დანტეს პიროვნებას.

თუმცა დანტე როგორც პოლიტიკური მოღვაწე და პატრიოტი საკმაოთ საინტერესო და დიდებულ მაგალითს წარმოგვიდგენს, მაგრამ ჩვენ მას შეეხებით მხოლოთ იმ მხრივ, რითაც იგი უფრო ცნობილია და რომლითაც მან დაიმსახურა უკვდავის სახელი.

დანტე ალიგიერი დაიბადა იტალიის ქალაქში, ფლორენციაშია, 1265 წ. მის ბიოგრაფიაში ბევრი რამ არის გამოურკვეველი, მაგრამ ერთი გარემოება კი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია დანტეს მთელ ცხოვრებაზე და ღრმა ბეჭედი დასვა მის პოეტურ ნაწარმოებს, სრულიათ გამოკვლეულია ჩვენ ვამბობთ ბეატრიჩეს სიყვარულზე. დანტე ცხრა წლისა იყო, როდესაც მან პირველათ ნახა რვა წლის ბეატრიჩე, რომელიც, როგორც ამბობს პოეტი, მსწრაფლ გარდაიქცა „მეუფეთ მისი სულისა“. „იგი უფრო ღვთის ასულს ჰგავდა, ვიდრე უბრალო მომაკვდავისასო“. „დავინახე თუ არა ბეატრიჩე, ჩემი გული მყის შეიპყრო მისმა სიყვარულმა ისე ძლიერათ, რომ მე არა მქონდა ძალა მას წინააღდგომოდი და მე, მღელვარეს მომესმა იდუმალი ხმა: „აი, ღვთაება, რომელიც შენზე ძლიერია და რომელიც შენ დაგიმონებსო“.

ცხრა წელს შემდეგ, პოეტი კვლავ შეხვდება ქუჩაში ბეატრიჩეს, რომელიც თავის დაკვრით ანიჭებს პოეტს „უმაღლეს ნეტარებას“. შვენიერ ალეგორიაში დანტემ გამოთქვა ეს გრძნობა. პოეტი ხედავს სიზმარს: სიყვარულს ხელში უპყრია დანტეს გული და მიჰყავს მიძინებული რიდეში გახვეული ქალი. ამური (სიყვარულის ღმერთი) აღვიძებს ამ ქალს, აძლევს მას ხელში დანტეს გულს და თითონ კი ქვითინით შორდება.

რომ ბეატრიჩე ნამდვილი ცოცხალი პირი იყო ზოგიერთ ბიოგრაფს არა ჯეროდა... მაგრამ ახლა დამტკიცებულია, რომ იგი იყო ფოლკო პორტინარის ქალი, ალიგიერის მეზობლისა; ბეატრიჩე დაიბადა 1267 წ., გათხოვდა და სამ წელს შემდეგ (1290) მიიცვალა. დანტემ გააღმერთა ბეატრიჩე თვის უკვდავ თხზულებებში და მოგვცა საკვირველი ნიმუში წმინდა იდეალური სიყვარულისა. დანტეს სიყვარული იმდენათ წმინდა იყო, იმდენათ ზნეობრივი, რომ მას ვერ წარმოედგინა ბეატრიჩესთან შეუღლება. ეს იყო ნამდვილი პლატონური თაყვანისცემა. მასთან ყოფნა, მისი დანახვა, აი ეს იყო მისი სურვილი, ეს იყო უმაღლესი ნეტარება. ბეატრიჩე გახდა მისი მუზა, მისი ალმაფრენის საგანი, მისი მოქმედების, მოღვაწეობის მიზეზი. „პოეზიაში მე არა მყოლია სხვა მასწავლებელი სიყვარულის მეტი“—ამბობს დანტე. რა ძლიერათ იმოქმედა, რა გრძნობები გამოიწვია პოეტის გულში, რა სიმები ააჟღერა ბეატრიჩეს სიკვდილმა, ამას ჩვენ ვხედავთ შემდეგ ნაწარმოებში. მაგრამ საყურადღებოა ის, თუ როგორი ძლიერებით ხატავს თავის შიშს, თავის წინაგრძნობას შეწუხებული პოეტი. ბეატრიჩეს მამა კვდება და ცოტა ხანს შემდეგ ესალმება ქვეყანას თვით ბეატრიჩეც.

წინაგრძნობა შეყვარებული პოეტისა გამართლდა.—ბეატრიჩე მოკვდა—ამბობს პოეტი იმიტომ, რომ „ეს მოსაწყენი ცხოვრება ღირსი არ არის ასეთი შვენიერი არსებისა“. დანტე ამ დროს 25 წლისა იყო. ბეატრიჩეს სიკვდილი მისთვის მეტათ ძნელი

ასატანი იყო. მას აღარ უნდა აღარც სიცოცხლე, აღარც სამშობლო და იგი სიკვდილისაგან ელის ხსნას. პოეტი დასტირის ბეატრიჩეს, როგორც დაკარგულ სამოთხეს. მაგრამ სიკვდილი არ მოდის და დანტე მხოლოთ ფილოსოფიაში ეძიებს ნუგეშს. რაც შეეხება თვით „ღვთიურ კომედიას", რომელიც მთლათ გამსჭვალულია ბეატრიჩეს სიყვარულით და სრულდება მისი აპოთეოზით, იგი შედგება სამი ნაწილისაგან და დაწერილია სამშობლოს გარე, როდესაც დანტე პოლიტიკური დასების ბრძოლის გამო განდევნილ იქმნა ფლორენციიდან.

„სიცოცხლის ნახევარი გზა გავლილი მქონდაო, ამბობს პოეტი, რომ ცხოვრების ტყეში დავიბენი". მას ძინავს და ვერ გაუგია, როგორ გაჩნდა ამ უდაბურ და საშიშარ ტყეში. იგი ცდილობს გამოსვლას, მაგრამ ეს ვერ მოუხერხებია. ამ დროს მას შეხვდება სახელოვანი რომაელი პოეტი, ვირგილიოსი, რომელიც უფრო „ვირგილიოსის აჩრდილსა ჰგავდა" და ჰპირდება ტყიდან გამოყვანას. მხოლოთ მათ უნდა გაიარონ ჯოჯოხეთი, სასინანულო არე და ისინი გავლენ მზიური მთის მწვერვალზე; „იქ შენ შეგხვდება სული ჩემზე ღირსეული, მე შენ გადაგცემ მას და დაგტოვებ", ეუბნება ვირგილიოსი. დანტე ყოყმანობს, მაგრამ ვირგილიოსი ეუბნება, რომ იგი გამოგზავნა ბეატრიჩემ და პოეტიც მაშინვე თანხმდება. ამას შემდეგ ესენი ჩადიან ჯოჯოხეთში, რომლის შესავალ კარებზე აწერია საშინელი სიტყვები: Lasciate ogni speranza voi qu'entrente (დატოვე ყოველივე იმედი აქ შემომსვლელო). აქ ჯოჯოხეთის წინაკარში, ანუ დერეფანში, ვარსკვლავებ მოკლებულ სივრცეში ისმის ტირილი და გმინვა; აქ იტანჯებიან ისინი, ვინც ქვეყნათ წარმოადგენდენ არარაობას, „უმნიშვნელონი", რომელნიც თუმც არა ცოდავდენ, მაგრამ არც კეთილს იქმოდენ. აქვე არიან ის „უღირსნი ანგელოსნი, რომელთ თუმცა არ უღალატეს ღმერთს, მაგრამ არც მისი ერთგულნი მსახურნი იყვენ". ამ „უმნიშვნელოთა" საშინელი სასჯელი ის არის, რომ გრძნობენ თავის არარაობას.

აქედან პოეტი და მისი წინამძღოლი შედიან ჯოჯოხეთის პირველ წრეში, „სადაც სუფევს ღრმა მწუხარება, ტანჯვას მოკლებული", რადგან აქ იმყოფებიან ის კეთილმომქმედნი, რომელნიც ქრისტიანობის სხივს არ გაუნათლებია, ე. ი. ქრისტეს წინათ დაბადებულან.

შემდეგ პოეტი სათითაოთ შედის დანარჩენ რვა წრეში სადაც სხვა-და-სხვა ცოდვების და დანაშაულობისთვის იტანჯებიან შემცოდენი.

უკანასკნელ, მეცხრე წრეში, რომელიც წარმოადგენს გაყინულ ტბას, მოქცეულნი არიან უსაშინელესი ცოდვის მომქმედნი—მოღალატენი. აქ იმყოფება იუდა, ქრისტეს მოღალატე; აქვე იმყოფება გრაფი უგოლინო, რომელმაც ღალატით გასცა ციხე და კბილით ღრღნის თავისი მტრის არქიეპისკოსის რუჯიეროს თავსა. რუჯიეროს წყალობით უგოლინო და მისი შვილები ტყვეთ დაიჭირეს და კოშკში შიმშილით დახოცეს. თითოეული სურათი სასჯელისა ადამიანს სისხლს უყინავს ძარღვებში! მეგობრის მოღალატენი კიდევ უარესათ ისჯებიან: ისინი თავებით ჩარჭობილნი არიან ყინულში. მათ ცრემლები თვალზე ეყინებათ, სხვებს აღარ აძლევენ გზასა და მათი მწუხარება ისევ უკუ იქცევა.

შემდეგ მოგზაურნი უახლოვდებიან სასინანულო არეს; იგი წარმოადგენს მაღალ მთას, რომელიც დაყოფილია თერთმეტ წრეთ. ვირგილიოსი და პოეტი ადიან მთის წვერზე, სადაც შვენიერი, ყოველთვის მწვანე ყვავილოვანი ტყეა. აქ ორი მდინარეა. ერთი ლეტა—ყოველი ცუდის დამავიწყებელი, მეორე—ევნოე, ადამიანის სულში კეთილის აღმბეჭდავი.

დანტე დგას ლეტას კიდეზე. მას უახლოვდება ზღაპრული პროცესია; შუაში, საუცხოო ეტლით მოდის ბეატრიჩე, მისი ოცნების და სიყვარულის საგანი. მისი სამოსელი მწვანეა (ნიშნათ იმედისა), მისი ჩადრი ალის ფერი. მას გარს ახვევიან ანგელოსები, რომლებიც ყვავილებით ჰფენენ არე მარეს, ყვავილების ბურუსით ჰფარავენ მის სახეს. დანტე ვერა ხედავს მის სახეს, მაგრამ რაღაც ძალამ, რომელიც ბეატრიჩესგან მომდინარეობს აგრძნობია მას „ძლიერება უწინდელი სიყვარულისა". აქ სამოთხეში, ედემში, სადაც მხოლოთ ჭეშმარიტება უბიწოება და სიყვარულია, მხოლოთ აქ ხედავს დანტე ბეატრიჩეს. ვირგილიოსი აქ ანებებს თავს დანტეს და ევნოედან ამოსული პოეტი ადის ვარსკვლავებისკენ. იგი მისდევს ბეატრიჩეს. აქ იწყება „სამოთხე". იმათ ცხრა სფერო აქვთ გასაველი და რამდენიც წინ მიდიან, პოეტი ამჩნევს, რომ ბეატრიჩეს სიშვენიერე უფრო და უფრო მატულობს.

ბეატრიჩე უთითებს პოეტს დედამიწაზე და მას ისეთი საცოდავათ ეჩვენება იგი, რომ ღიმილი მოუდის და ეთანხმება მათ, ვისაც დედა-მიწა ძაგს. მერვე სფეროში უძრავ მთებთა შორის დანტე პირველათ ხედავს ბეატრიჩეს სრულ ღიმილს, და მხოლოთ სიხარულით იტანს მას, მაგრამ გამოხატვა კი არ შეუძლია არავითარი სიტყვებით. უცხო სანახავები თვალს უტკბობენ პოეტს: შვენიერ წალკოტს ეფინებიან ღვთაების სხივნი, უცხო ვარდს გარს შემოხვევიან კეთილ-სუნნელოვანი ყვავილები და ზედ დასდგომია ქრისტეს სინათლის სხივი, აი უკანასკნელი სფეროც—ემპირეთა, სასუფეველი თვით ღვთაებისა და ნეტარ-

თა სულთა, ტკბილი გალობა, უცხო-როკვა, ბრწყინვალე ზეირთებიანი მდინარე, მწვანეთ მობიბინე კიდეებით... დანტე ისველებს თვალებს ამ მდინარის წყლით და მას უეცრივ ენიჭება სრული სულიერი განათლება; პოეტი ხედავს ბეატრიჩეს, რომელიც იმყოფება მაღლა ტახტზე და „იმკობს თავს სხივების გვირგვინით, რომელნიც მისგანვე გამოკრთიან“.

ეს არის უმაღლესი ნეტარება პოეტისა, აქ არის უმაღლესი წერტილი მისი ბედნიერებისა. „აქ კი წარმოდგენის ძალამ დამტოვა,—ამბობს პოეტი,—მაგრამ ჩემი სურვილი, ჩემი ნება უკვე საუკუნოთ დაატრიალა სიყვარულმა, რომელიც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“. ᲓᲐ მართლაც ასეთ სიმაღლემდის არ მიუღწეია ჯერ ადამიანის ფანტაზიას, შემოქმედებით ძალას წარმოდგენისას. დანტეს თხზულებაზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ის, რაც ნათქვამია ჰომეროსზე: იგი აძლევს ყველას იმას, ვისაც რამდენის აღება შეუძლია. დანტეს უკვდავი თხზულება წარმოგვიდგენს საკვირველ მდიდრულათ შეზავებულ, ხელოვნურათ შეკავშირებულ პირად და საზოგადო ელემენტებს, უმაღლეს ინდივიდუალიზმს და საუკეთესო სოციალურ ტენდენციას. ჩვენ აღარას ვამბობთ მის ხელოვნურ ღირსებებზე. ამიტომაც არის, რომ დანტეს „კომედიას“ შთამომაველობამ „ღვთიური“ უწოდა და საუკეთესო წარმომადგენელნი ხელოვნებისა, როგორიც არიან: რაფაელი, მიქელ-ანჯელო, პერუჯინი და სხვ. იღებდენ ტემებს ამ უკვდავი თხზულებიდან. „მე ვიტყვი ბეატრიჩეზე იმას, რაც არც ერთ ქალზე ჯერ არ უთქვამთო“, ამბობს დანტე და ვინც იცნობს მის თხზულებას, დაეთანხმება, რომ მან აასრულა თავისი სიტყვა.

დანტე გარდაიცვალა 1321 წ. და 1865 წ. მთელმა იტალიამ იდღესასწაულა 600 წლის იუბილე მისი დაბადების დღისა. Ნ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

და

მისი დრო. *)

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტაცა ყვავილი...
ნ. ბარათაშვილი.

(წერილი პირველი.)

ᲩᲕᲔ XIX საუკუნის დასაწყისი ჩვენშიაც თავისი ძველი წესის არევ-დარევით და ახალის შეუთვისებლობით რამდენიმეთ წაგავს ევროპისას. საქართველოს ბედ-იღბალი შეიცვალა და კარგათ, თუ ავათ განწყობილისა ᲓᲐ შეთვისებული ცხოვრების ფორმები უთმობენ ადგილს ახალს, შეუჩვეველსა და სრულიად უცნობს პირობებს. ქართველისათვის სრულებით მოულოდნელი შეიქმნა ეს თავზე დამტყდარი განსაცდელი და შეშფოთებულ ტვინს ვერ გამოერკვია, სად მიდიოდა იგი, რა მოჰყვებოდა იმის მოქმედებას და არსებასა. უმაღლესი საგანი ცხოვრებისა, ხელიდან გაუსხლტა პირადი ცხოვრებით გატაცებულს ქართველს და საქვეყნო საქმეებზე მძიმე ფიქრებითა და ზრუნვით თავს არ იხეთქავდა. ჩვენი სამშობლო ქვეყანა ჩადგა თუ არა სხვა პირობებში, მაშინვე მოისპო მის შვილთა შორის ის შემაერთებელი კავშირიც, რომელიც ერთობის აზრს ზოგჯერ ბადებდა და მამული-შვილს უანგაროთ, განსპეტაკებული სურვილით იწვევდა თავ-გადადებულს, საგმირო ასპარეზზე. შინაური ცხოვრების თვით ის დედა-აზრი, რომელიც გაჭირებისა თუ დალხინების ჟამს ქართველს ერთხელ მაინც აუმაღლებდა კეთილ-შობილურ გრძნობებს, უჩვენებდა თავის დანიშნულებისა და სალმრთო ვალდებულების ძალ-ღონეს, აღუნთებდა გულში სიცოცხლის მომგვრელ ლამპარს მოისპო.

იმ დროს უფრო გადამეტებული ნაწილი საზოგადოებისა, თავისუფლათ და დაურიდებლათ მიეცა მამა-პაპათა ქონების გაფლანგვას. იგი თაყვანს სცემდა მხოლოთ სპარსეთში შემუშავებულ კულტს, ყიზილ-ბაშურ ყოფა-ქცევასა და გართობას...

ეს გარდამეტებული ნაწილი საზოგადოებისა პოეზიაშიაც ეძიებდა თავის გამართობელსა და მდაბალ გულის თქმათა შესაფერ სურათებს, ნამუსს ახდილისა და უაზრო მხიარულების გამოხატვას. მართლაც, დაიბადენ მგოსნები, რომელნიც თავიანთი გაელენიანი ცხოვრებითა და მაღალი, ყალბი ფრაზების სროლით ხელს უწყობდენ საზოგადო აზრის დაცემასა ᲓᲐ ზნეობის გაფუჭებას. როგორც ყველა აზიელი პოეტებისა, ისე ამათი პოეზიის საგანი იყო ფერ-მკრთალი და შავ-თვალ-წარბა ლამაზი ქალი, ღვინო, ეშხით მთვრალი მოქეიფე და მამაცი ვაჟ-კაცი. სხვებს ვინ ჩვეოდა, როდესაც საზოგადო მოთხოვნილებამ ისეთი მდიდარი წარმოდგენისა და საოცარი პოეტური ნიჭის მგოსნებიც კი გაიტაცა, როგორიც იყვენ ალ. ჭაეჭაეაძე და ნამეტურ გრ. ორბელიანი. საზოგადო გრძნობების ტალღების ძალუმათ ტოკვამ, ეს საგანგებო ღვთაებური ნიჭით უხვათ დაჯილდოებული პოეტებიც დაიმორჩილა და თავიანთ ჩანგს ჩვეულებრივი ძალით ჩამოჰკრეს. კითხულობთ და აღარ გიკვირთ, რომ ეს პოეტებიც მდუღარე ცრემლებითა და აღელვებული გრძნობებით ხატავენ ვიღაც ლოპიანასა და საათნავას დარდებს, ზოგჯერ —ასე ვთქვათ—ხათრისათვის გამოჰყავთ რომე-

ლიმე ისტორიული პირისა, ან გმირის აჩრდილი. მაგრამ ეს გაზეიადებული გრძნობათა აღმაფრენა ლხინებზე გადამკედარ საზოგადოებისათვის გულის მოსაფხანი და გასართობელი მასალა იყო და მეტი არაფერი. რასაკვირველია, ასეთი ხასიათის პოეზია ჭკუისა და ზნეობის გაფაქიზების საქმეს ბევრს ვერას შემატებდა...

მეორე რიგი საზოგადოებისა წარმოადგენდა მეტათ უმცირეს ნაწილს. ჩვენი ქვეყნის მაშინდელ უკეთეს შვილთა სახელი წილათ ამათ ხვდა.

ეს „მუხთალ სოფელზე“ გულ-აყრილი პირები მრთელის თავიანთის არსებით მიეცენ მხოლოთ საკუთარი სულისა და ბუნების დარდების მწუხრათ მოთქმას. ინდივიდუალური ცხოვრების სურათების გამოხატვასა და ჩამოსხმას.

ქვეყნის ამ უკეთეს შვილთა კრებულს ესაჭიროებოდა მეტათ გულ-წრფელი, უპატიოსნესი და უკეთილ-შობილესი მგოსანი, რომელსაც თავისუფლათ, ძალ-დაუტანებლათ და გულ-მხურვალეთ უნდა გამოეხატა „ობოლთა სულთა“ მწარე „ფიქრი, შავათ მღელვარი“. ცხოვრებამ დაკმაყოფილა კანონიერი მოთხოვნილება: დაიბადა პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც საოცარი ნიჭიერებით, გულწრფელათ და სინიდისიერათ ამართა დროშა წმინდა, ანკარა მთის წყაროს წყალსავით მომდინარე პოეზიისა, ჭეშმარიტი ლირიკისა. ეს პოეტი წარსული და აწმყო ცხოვრების ავ-კარგიანობას უკვირდება, იქიდან იღებს ისეთ მასალას, რომელსაც შეუძლია აღზარდოს ადამიანში თავისი ღირსების პატივის ცემა, ვალდებულების სპეტაკი შუქის წარმოდგენა, მოყვასისადმი უანგარო სიყვარული და ამ საშუალებით უხილავათ, ფარულათ ჩაუნერგოს მშობელ ქვეყანას და ხალხს ნუგეშის მომცემი ფიქრი. იგი მარტივათ და გაუზვიადებლათ ჰხატავს გარეშე ბუნების სურათებს და აქედან გადადის ადამიანის სულიერი მოძრაობის სხვა-და-სხვა მხარეზე და უტკბილესი, უძვირფასესი ლექსებით უღაღადებს, საზოგადოთ, შვენიერებას, პატიოსნებას, სიყვარულს, მშობელ ქვეყნის ბედ-იღბალსა ჯ განათლებას. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებში, ერთი მხრით, სრულიად იხატება პიროვნება თითონ პოეტისა მრთელი თავისი შეხედულებითა და იდეალებით და, მეორე მხრით, ის საზოგადო ცხოვრებაც, რომელიც მას გარს ერტყა და შობდა ამა თუ იმა შთაბეჭდილებასა, გრძნობებსა და გულის თქმათა... ჩვენ პოეტს არ დასცალდა სიცოცხლე და მისგან ცოტა ნაწარმოები დაგვრჩა, მაგრამ ისიც კი, რაც დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს, იმდენათ შესანიშნაი და ყურადღების ღირსია, რომ პირუთვნელმა კრიტიკამ ის ნაწარმოები, სხვა მაშინდელ პოეტთა ნაწარმოებთან შედარებით გაცილებით უფრო მაღლა უნდა დააყენოს.

ჩემის აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილს, იმ დროის ქართველ პოეტთა შორის, პირველი ადგილი უკავია, როგორც თავისი წმინდა პოეზიის ხასიათით, ისე თავისი პატიოსანი და კეთილ-შობილური პირადი ცხოვრების მიმზიდველობითა. მართალია, ჩვენში იმ დროს იყვენ პოეტები, როგორც მაგალითათ, ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, რომელნიც ნ. ბარათაშვილს არა თუ ჩამორჩებიან ბუნების სურათების გამოხატვის ნიჭით, გრძნობათა აღმაფრენით, მოქნილობისა და მძლავრის ლექსის ჩამოსხმით, არამედ გრ. ორბელიანი, განსაკუთრებით აღემატება ამ მხრით მას კიდეეაც. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის ძვირფას, მარგალიტ ლექსთა შინაგანი არსება, მომხიბლველ სიტყვების საოცრათ ასხმული წყობა, აზრისა და გრძნობის სიღრმე და სიგანე მაინც სხვა თვისებისა არის და განსაკუთრებულ წერტილზე უნდა იქმნეს დაყენებული იმისი პოეზიისა და პირადი ცხოვრების ღირსება. რატომ?—ჯერ ერთი იმიტომ, რომ გრ. ორბელიანი და სხვანიც, გარდამეტებით, თავიანთ ნაწერებში, თუმცა შეეხებიან სიტურფეს, სიყვარულს და ბედნიერებას, მაგრამ ამ საგნებს იმათ ლექსებში უფრო ხორციელი, ვიწრო ფარგალი აქვს შემოსაზღვრული და ნ. ბარათაშვილიეთ ფართოთ, საესებითა და ღრმა მნიშვნელობით ვერ წვდებიან ადამიანის ცხოვრების ამ საუკეთესო მხარეებს. მეორეთ იმიტომ, რომ ზემოთ ნახსენები პოეტები უფრო ეაქკაცობასა, დევ-გმირულ საქმეებსა, უდარდელ ცხოვრებასა, ქალის გარეგან მორთულობასა და სიკეკლუცეზე აჭღერებდენ თავიანთ ძლიერ პოეზიის სიმთ, მაშინ, როდესაც ბარათაშვილის პოეზია მთლათ ჩაუყლაპავს სულიერ მოგლენათა დაფარულ აზრს. თავიდან ბოლომდე მხოლოთ ადამიანის დარღსა და ვარამს ხატავს, ცხოვრების შინაგან მხარეს უკვირდება და ქართულს ლატერატურაში შეაქვს ახალი აზრები, დაწინაურებულ ერთა ლიტერატურის შესაფერი ახალი საჭირ-ბოროტო საგნები, ახალი მიმართულება. ამიტომაც პოეტის სურვილი

„მინდა, რომ ვიყო ჯარსკვლავი, განთიადისა მორბედი“

ნამდვილათ განხორციელდა. ჩვენმა პოეტმა ქართულ პოეზიას შეუცვალა შინაარსი და ხასიათი, შეიგნო ნამდვილი დანიშნულება მოღვაწეობისა და სრულიად აღნიშნა თავისი დრო. დაიწყო ახალი ხანა, აქ სწორეთ რომ დროზე გვაგონდება დიდ-მნიშვნელოვანი სიტყვები დანიის კრიტიკოსის, გეორგ ბრანდეს-სა, რომელიც ერთ თავის სტატიაში წარმოთქვამს შემდეგს: „არა ტურფა და რჩეული პოეტური ნიჭი იჭერს ლიტერატურაში მეთაურობასა და

უპირატესობას. მეთაურობა ნიჭს კი არა, მთელ პიროვნებას ხედება წილათ. ვინც აღნიშნულს დროს საკუთარ გულ-მკერდში მომეტებულათ, ძლიერათ გრძნობს თავისი დროის გულის ცემას, ვინც საკუთარის გრძნობა-გონებით ითვისებს თავის თანამედროვე აზრს და აქვს მტკიცე განზრახულება, რომ ლიტერატურასაც დაასვას ბეჭედი ამ გრძნობა-გონებისა, იგი დაბადებულა მეთაურათ და დარჩება კიდეც მეთაურათ".

ნიკოლოზ ბარათაშვილი არა თუ „გრძნობდა საკუთარ გულ-მკერდში თავისი დროის გულის ცემასა", არამედ იგი იყო კიდეეაც ჩვენ მაშინდელს მწერლობაში ერთათ ერთი გულ-წრფელი გამომხატველი იმ ფიქრთა, აზრებისა და გრძნობებ-სა, რომელთაც სახმილსავით უმოწყალოთ გაემსჭვალათ გული საქართველოს უკეთესი შვილებისა. იგი იყო განხორციელებული გულის ხმა ამ ყმაწვილ-კაცებისა, მოთქვამდა იმათს მარტო ხელობას, სულის ობლობას, უნიადაგობასა და ჭირის-უფალსავით გულით ბანს აძლევდა იმათს ტანჯვასა და კვნესა-წუხილს... ის, რაც იგრძნო და ნახა ახალ-გაზდა პოეტმა, იგრძნეს და ნახეს იმ პატიოსანმა ახალ-გაზდებმაც, რომელნიც იმ დროს ცხოვრებდენ. ჩვენმა პოეტმა, მიცა ფორშა ამ გულ-დაწყვეტილ კვნესა მოთქმას, მოსასპობლათ ატეხილ ზვირთთა ცემის საიდუმლო, დაფარულ გამოურკვეველობას. პოეტის გულის ცემა და გრძნობათა ტრიალი შორეული ქვეყნიდან ქარით მოტანილი არ იყო და, მაშასადამე, არც შემთხვევის საქმე გახლდათ... პოეტი თითონ ცნობდა, თითონ ყველაზე გადამეტებით გრძნობდა თავის აუტანელი მდგომარეობის სიმძიმეს და გულის ფიცარზე სისხლის ბურთები საშინლათ უტოკავდენ. პოეტის გლოვის ზარივით მწუხრათ მოთქმა, დაუსრულებელი ჩივილი საწუთროზე თავის თავათ ლოღიკურათ მომდინარეობდა და იბადებოდა თვით, კეთილშობილი პოეტის ცხოვრების მწარე სინამდვილიდან...

სომეული.

(დასასრული პირველი წერილისა)

ნუშო.

(მოთხრობა *).

XI.

ოვიდა განსაცდელის დღე. ექიმი და ბებია თავს ეულებოდენ მშობიარეს, წამლიანი შუშებით მაგიდა აევსოთ. ბევრს კი ვერას შველოდენ. მელოგინის საცოდავი ძახილი, კივილი, უფრო საბოლოოდ გაჭირებულ ცხოველის ხრიალსა ჰგვანდა, მინამ ადამიანის ხმას. პატივსადები კი იყო ეს ხრიალი: ის იყო ნიშანი ტანჯვისა მეორე არსების გულისათვის, ის იმის ნიშანი იყო, რომ ერთი ქმნილება თავსა სწირავდა, რომ მეორისათვის სიცოცხლე მიენიჭებია. საიდუმლო სრულდებოდა — სიცოცხლე იბადებოდა. არარაობიდან არსების წარმოშობა ტკივილითა ხდება. არსების არარაობისადმი მიქცევაც ხომ ტანჯვით მოხდება ხოლმე.

შობა ბუნებრივი მოვლენაა და ტანჯვასთან რათ არის შეერთებული? იქნება როდისმე მთლათ უტკივარათ სრულდებოდა ეს საიდუმლო? იქნება ეს ტანჯვა გადაშენების ნიშანი იყოს და ბუნება იმისთვისა სჯიდეს ასე ადამიანს, რომ ის თავის ცხოვრებით ბუნებას დაშორდა, რომ ცდილობს თავის ცხოვრებაში ბუნების კანონები დათრგუნოს? მაინც ხომ იქ უფრო მეტია ეს ტანჯვა, საცა უფრო მეტათ აშორებიან ბუნებას. რჯულიც ხომ მოგვითხრობს, რომ ეს ტანჯვა არ არსებობდა იქამდინ, სანამ ევა არ იგემებდა კეთილისა და ბოროტის გამარჩეველ ნაყოფს, ესე იგი ცივილიზაციის დაწყებამდე. იქნება ამ ტანჯვამ თან-და-თან იმატოს და ბოლოს იმ ზომამდე მივიდეს, რომ შეუძლებელი შეიქმნას გაძრავლება?—ვინ იცის!

ჯაგუს ბებიამ ვაჟიანობა ახარა. ქალის ტანჯვის ხმაზე ვაჟკაცს უნებლიეთ ცრემლი მოსვლოდა. თვალ-ცრემლიანმა სიხარულით ბებერი გადაკოცნა.

ახლათ დაბადებული ჯერ კიდევ მჭიდროთ არის მშობელთან დაკავშარებული; თუმცა გაშორებია დედის ხორცს, საზდოს მაინც პირ-და-პირ დედის სხეულიდან თხოულობს, იმის ძუძუდანა წოვს სიცოცხლეს. დედა რომ შვილს აწოვებს, თავის სიცოცხლეს უზიარებს, საკუთარ სისხლსა და ხორცს აწვდის ასაღორძინებლათ, საკუთარ არსებიდან აწვეთებს ცხოვრებას. ჩვილი ამ შემთხვევაში გაგრძობაა დედის არსებობისა, რადგან როგორც შობამდინ, ისე ახლაც პირდაპირ იმისაგან ისხამს ის ხორცს. ძუძუთი აზდა ყმაწვილისა მეორეთ შობაა, ის როგორც სიძნელით, ისე შედეგით მუცლით ტარებას და შობას უდრის. ამიტომაც მხოლოთ ის დედა არის ნამდვილი დედა, რომელმაც არამც თუ შვა, არამედ თავისი არსებითვე აზარდა შვილი. ნუ იტყვის ნამდვილ დედობას, ვინც თავისი რძით არ აზარდა პაწაწა! პატარა მარტო ნახევრათ ეკუთვნის იმას, მეორე ნახევარი ამზდელისაა, რადგან ნახევრათ იმისი სისხლ-ხორცია. ქართველებს ესმოდათ ეს და ამისთვის დედის სწორათ მიაჩნდათ ძიძა. ნურც იმას იტყვით, რომ დედას ერთნაირათ უყვარდეს თავის გაზდილი ვილი და სხვის გაზდილი: პირველი დაბადების შემ-

*) იხ. „ჰკლი" № 23.

დეგაც დედისაგან არის ხორც-შესხმული, დედის არსებით არის აღორძინებული და იმაში უფრო მეტია დედის ხატება, ის უფრო სრულიათ წარმოადგენს დედის არსების გაგრძობას.

მაგდას ინსტიქტურათ ესმოდა ეს, ეცადა დედას ძუძუ ჩაედო ყმაწვილისათვის. ქალი დაჰყვა, მაგრამ ეჩოთირა და ქნა ფრიათი. ჯაგუმ საგანგებო ძიძა მოჰგვარა თავის კოწიას, თუმცა ეწყინა, რომ დედამ ასე ჩქარა უღალატა ჩვილს.

XII.

ცოლის ლოგინობაზე, ძეობაში, ნათლობაში, რომელიც ქორწილს არ ჩამოუვარდებოდა, დიდი ხარჯი მოუვიდა ჯაგუს. თითონ ოჯახმაც განზე გაიწია, მეტსა თხოულობდა: ბავშის ამზდელ-მომლელების შენახვას გარდა ათასი წერილმანი ხარჯი მოემატა; მსახურები ხან აფთიაქში გარბოდენ, ხან ექიმთან, ხან მოსარეცხესთან, ხან ბაზარში და ვინ იცის კიდევ სად; ხომ წერილი ხარჯი იყო, მაგრამ თვის ბოლოს კარგა ფული ქუჩდებოდა. ამას გარდა ათასი სხვა-და-სხვა ნივთები იყო საჭირო: სახლი სულ ახლათ ეწყობოდა, ძველათ დარჩენილი არც აევჯი იყო, არც სხვა რამე. ყველაფერი ახლა უნდა შეეძინათ. მართალია, ჯვარისწერისთვის რომ ემზადებოდა სახლი მოაწყო, მაგრამ მოაწყო სუბუქათ,—იმდენათ, რამდენათაც საჭირო იყო ორი ადამიანისთვის. ახლა სხვა იყო, ოჯახმა მდიდრულათ დაიწყო ცხოვრება, მიმსვლელ-მომსვლელისთვის კარი ღია ჰქონდათ, ცდილობდენ უკეთესებს უკან არ ჩამორჩენოდენ და ბევრი რამ იყო საჭირო ამის დასაკმაყოფილებლათ.

იმან უფრო გააჭირა საქმე, რომ თითონ ნუშო შეეჩვია ბაზარს. შინ იმას ახლაც უწინდებურათ არაფერი საქმე არა ჰქონდა: ყმაწვილს სხვები უვლიდენ და ჰკვებავდენ. სანამ პირს არ დაბანდენ და არ მორთამდენ, არც კი უჩვენებდენ დედას; ოჯახის მოელა ხომ წინათაც არა ჰქონდა იმას მინდობილი. სხვა რაღა დარჩენოდა, რომ ლეში არ ენებიერებია? გორავდა ათ საათამდინ. მოახლე პირს დაბანინებდა, ჩაის მიირთმევდა, მერე მოირთვებოდა და რადგან უსაქმობით საათი საუკუნეთ ეჩვენებოდა, გასატარებელ რასმე ელტოდა. ბაზარიც გასართობ ადგილათ გაიხადა, მით უფრო, რომ ეს გართობა საქმეს ჰგვანდა: დიასახლისი იყო და ოჯახისათვის ეაჭრობდა, ზრუნავდა. მოიკაზმებოდა, ჩაიდებდა ფულით გატენილ ქისას და მიაქროლებდა ეტლს ქარვასლისაკენ. ძვირფასი ნივთები, ფარჩეულობა, კოხტა რამ აევჯი,—ყველაფერი, რაც კი თვალს მიიტაცებდა, შინ უნდა გაეგზავნა. ნეტა ეაჭრობის შნო მაინც ჰქონოდა! ატყუებდენ. დღეს ნაყიდი საქონელი ხვალ გასაყიდი ხდებოდა. დალალობაში დახელოვნებული მარქრიტა მიცემული ფასის მეათედსაც ძლივს უბრუნებდა ნუშოს; — მეტათ არ გაიყიდაო,—ეუბნებოდა.

ბაზარში სიარული ხომ დროს გატარებათ მიიჩნდა, თანაც იმის თავმოყვარეობას აკმაყოფილებდა: ქარვასლაში თუ სხვა მაღაზიებში ბევრი იცნობდა ნუშოს, რადგან იქ ბევრი ეაჭრობდა გარეთუბნელი და ეანქის უბნელი, აგრეთვე ახალი ნაცნობები, რომლებიც იცნობდენ ჯაგუს. იმათ იცოდენ ნუშოს ქისაც, იმის ეაჭრობის უნარიც და ცდილობდენ თავიანთ მაღაზიაში მიეწვიათ. როცა დაინახავდენ მიმავალ ქალს, გამოეგებებოდენ დუქნიდან, და მოწიწებით ეპყრობოდენ, ემსახურებოდენ. ნავაჭრს კოხტათ გაუხვევდენ და ეტლში ჩაულაგებდენ; თუ საჭირო იყო ბიჭს სახლში აახლებდენ. ადამიანი ბუნებით პატივისა და ბატონობის მიმდევარია და ქალის ბრძანებლობითი ინსტიქტებს აქ საზდო ეძლეოდა. ამის გარდა ნოქრები და ბიჭები საღამოზე რომ შინ ბრუნდებოდენ, რასაკვირველია, უამბობდენ, რა ეაჭრა იმ დღეს ნუშომ, ისე რომ იმ ღამესვე მთელმა გარეთუბანმა იცოდა რამდენი დახარჯა ქალმა, როგორი პატივით მოექცენ იმას თითონ აღები, რა ტანისამოსი ეცვა. ნუშომ ეს კარგათ იცოდა და კმაყოფილი იყო;—ვინ იცის ჩემ ბედს შენატრიანო, ფიქრობდა. მართალია, ამ პატივისცემის ბაღლათ ცარცვავდენ ქალს, ატყუებდენ საქონელში, ფასში, ზომაში, ხურდაშიც კი, მაგრამ ყველა ამას გამოუცდელი დიასახლისი ვერ ამჩნევდა და თუ მიხვდებოდა, იმითი ცდილობდა დაესაჯა ფლიდი, რომ მეორე დღეს ამაყათ ჩაუვლიდა იმის დუქანს, ზედაც არ შეხედავდა. მაგრამ რა? ერთ მაღაზიას თუ გვერდს აუქცევდა მარტო იმისთვის, რომ მეორეში გაბმულიყო, როგორც ბუზი აბლაბუდაში. ჯაგუს სახლს კი აკლდებოდა და მგელს მიჰქონდა თუ მგლის ფერ ძაღლს ეს იმისთვის ერთი იყო.

გარეთუბანში ხშირათ ლაპარაკობდენ ნუშოზე. მაგდა ყურს ადევნებდა ამ ლაპარაკს, ხედავდა რომ იმისი ქალი ფულს აპნევდა და არ იამებოდა, წყინდა გულში, თუმცა წყენას არ იმჩნევდა და სხვებთან საუბარის დროს ბოდიშსაც ხდიდა ქალს:

— ახალი ოჯახია, ყველაფერი ახლათ არის შეესაძენი; მაშ რა ქნას, რომ არ იყიდოს? ჩემ სიძეს რომ შეეძლოს თითონ გაჰყვეს ხოლმე ბაზარში, თითონ აურჩიოს სავაჭრო, დიახ კარგი იქნებოდა, მაგრამ აბა იმას სადა სცალია? ეაჭრობას არ ეღალატება.

— ქალო, როცა ამისთანა ძვირფას ნივთს ყიდუ-

ლობ, მარტო როდი უნდა ვაჭრობდე, — უსაყვედურებდა ხანდახან ქმარი.

— შენ რომ არა გცალიან! შენ სულ საქმეში ხარ გაბმული და აბა მე ვინ მიპატრონებს, ვინ წამამყვება?

— მერე რა საჭარო იყო მაგის ყიდვა? მეტყოდი; მეც დროს შევარჩევდი და ერთათ წავიდოდით.

ქალი შემოეხვეოდა ქმარს კისერზე, ჩახედავდა თვალებში და ეტყოდა:

— გენანება ჩემთვის რაღაც რეა თუმანი?..

— ქალო, კი არ მენანება, მაგრამ ჯავრი მომდის, რომ გატყუებენ. ესეც იქით იყოს: მეც ჩემი მარჯვენითა ვცხოვრობ. მეშინიან ბედმა არ გვიღალატოს. ხედავ ჩვენ ნათლიას, ან ბაღდასარ მინაიჩს როგორ ცხოვრებენ შინ? უბრალო ხელოსნის სახლი გვგონება; ვაჭრობა კი ჩემზე ნაკლები არა აქვთ.

— ეგრე რომ ამბობ, ნახე იმ დღეს ნათლიის ცოლს რა ფარღული ეგდო გულზე? აბა რომელი მაქვს იმისთანა ძვირფასი ნეთი?

— კი, საყვარელო, მაგრამ ეკენი წელიწადში ორჯელ-სამჯერ მოირთვებიან და თავს გამოიჩენენ, უიმისოთ ყაირათობენ, გროშს-გროშზე ადებენ. ეს იქით იყოს: მაგათზე რომ თვალ-მარგალიტსა ხედავ, მაგათ რომ ავეჯი და მოწყობილობა აქვთ, სულ ძველის-ძველია ეგ; მამა-პაპასვე აუშენებია ეს ოჯახები, ეგენი მარტო ინახავენ და უმატებენ, ჩვენი საქმე კი სხვა არის: ჩვენ ყველაფერს ახლათ ვიძენთ, ყველაფერი ჩვენი მარჯვენით უნდა ვიშოვოთ.

— როგორც გატყობ, ბოლოს შენ კატასაც აწონამ. აღარ გიყვარვარ... წინათ სულ სხვა იყო... იტყოდა ქალი და ცრემლებს გადმოაფქვევდა.

მოდი და შენ ატირე ანგელოზი გროშებისთვის!

მსახურებმა შენიშნეს ქალბატონის ხასიათი და იმისი მნიშვნელობა ოჯახში, — იმათ ხომ ძალიან იციან ალღოს აღება, — და ცდილობდენ ეამებიათ იმისთვის, საკუთრათ იმისთვის, სახლს კი ცარცვა დაუწყეს. ჯაგუს არ შეეძლო არ შეემჩნია ეს ყველა, გული უკვდებოდა, როცა ხედავდა რა ცუდათ მოეწყო იმისი ოჯახი, მაგრამ ვერა უშველა-რა: შინაც თითონ ყველაფრისთვის ეგდო ყური — არ შეეძლო, არ ეცალა, დრო სრულებით არა ჰქონდა; ცოლს ეტყოდა რასმე და ის კიდევ ან უსაყვედურებდა, ან ტიროდა, ან კაპასობდა და რამდენიმე დღით ებუტეებოდა ქმარს, ახლო აღარ იკარებდა. საკვირველი ის იყო, რომ ნუშო, ეს უქნარა და ჩაუფიქრებელი ნუშო, ამ უკანასკნელ შემთხვევებში გამოეხიზლდებოდა: ადრე დგებოდა, უბრალოთ, თუმცა ფაქიზათ გამოწყობილი სახლს ველიდა, მაგდებულ საკერავს თუ საქსოვს ხელს მოჰკიდებდა, აქათ-იქით სიარულს თავს ანებებდა, საზოგადოთ ისე მხნეთ და აზრიანათ იქცეოდა, როგორც ნამდვილ დიასახლისს შეშვენის. სწორეთ ასეთი მეუღლე ჰყავდა ჯაგუს თავის გონებაში დახატული, როცა ნუშოს ირთავდა. უყურებდა ვაჟკაცი ქალს შორიდან და ტკბებოდა, გულზე მალამო ესმოდა. შორიდან უყურებდა მეთქი რადგან ქალი თუმცა ნარნარათ ირჯებოდა, ქმარს მაინც არ იკარებდა, არ ელაპარაკებოდა. კაცს გული ულბებოდა, ცოლს რომ საყვედური უთხრა, ახლა სიმკაცრეთ მიაჩნდა ის; ბოლოს თითონ მიუახლოვდებოდა, გადაეხვეოდა, ფეხთა-მტვერი უხდებოდა. ნუშო სწორეთ ამას ელოდა: აუშვებდა უწინდებურათ იალქნებს და ოჯახს ანიავებდა.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

საქველ-მოქმედო საქმე.

ვენ მივიღეთ მიხ. ჩხარტიშვილისაგან 25 მ. მოგროვილი ქ. პიატიგორსკში მცხოვრებ ქართველებისაგან ყოველად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე სტიპენდიის დასაარსებლათ. შემომწირველთა სია: სამ-სამი მან. ზაქ. ყანდარელმა, ივ. ღოღობერიძემ, ნიკ. კანზოპელომ, გიორ. კაღოშვილმა. ორი მან: თ. აბაშიძემ. თითო მანეთი: ალ. კაპანაძემ, ანტ. ჯაფარიძემ, მიკ. თოიძემ, ელ. თოიძისამ, სვიმ. თუმანოვმა, რაფ. ბედიანიძემ, დავ. მანჯიგალაპემ, სვიმ. თევდორაშვილმა, კოს. ეარდანაშვილმა, ნესტორ კორძაიამ და პაველ იაშვილმა.

ეს ფული დანიშნულებისამებრ გაიგზავნა.

* * *

კ. ეას. მასხულიასაგან მივიღეთ ორი მანეთი მომავალ დედათა სკოლის სასარგებლოთ შემდეგი წერილით: ამ ზამთარს ატყდა ქალთა და ვაჟთა კამათობა და რადგან ქალებმა გაიმარჯვეს, საჭიროთ მიმაჩნია შემდეგი წინადადება შემოვიტანო: ყველა ჩვენგანმა, როგორც დამარცხებულებმა ორ ორი მან. შეეწიროთ მომავალ დედათა სკოლის თანხისთვის. ამითი იქნება გავაადვილოთ სკოლის მალე დაარსება.

ზემო მოხსენებული ორი მან. დანიშნულებისამებრ გადაეცა.

***

წყალდიდობისა და სასტიკ ზამთრისაგან დაზარალებულთ დამხმარებელ კომიტეტის გადასაცემათ მივიღეთ ორი მანეთი ერთ უცნობ პირისაგან.

კვალის ფოსტა.

სერ. ჩ—ძეს თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება, ანრა დროს ვარდ-ბულბულზე სიმღერაა, როდესაც მთა და ბარი ინგრევა და ხალხი ერთმანეთს დარევია.

redaktor-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

თბილისის ქალაქის საბჭო

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც სურთ იჯარით აიღონ ბეტონის წყლის მილების გაკეთება: 1) პირველი ნაგორნის და ვიწრო ქუჩებზე (თბილისის მეორე პოლიციის განყოფილებაში) ძველი არსენალის ქუჩიდან დაწყებული. 2) გრიბოედოვის ქუჩაზე (თბილისის პირველ პოლიციის განყოფილებაში) ა. ტურნოვსკის სახლიდან დაწყებული ნაბერეჟნის ქუჩის (მეცხრე პოლიციის განყოფილებაში) მილთან შეერთებამდის.

ვაჭრობა დანიშნულია 8 ივნისს დღისით 12 საათზე. ამ ვაჭრობის პირობების შეტყობა შეიძლება საბჭოს ტეხნიკურ (строител.) განყოფილებაში ყოველ დღე დილის ათი საათიდან შუადღის ორ საათამდე.

(3—1)

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავათმყოფებს ახალ სადგომში. ნიკოლოზის ქუჩა, ე. საგინაშვილის სახლი, № 21, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის გამყიდველებთან შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები კ. თავართქილაძისა.

1, „დრამატიული თხზულებანი“ ავქ. ცაგარლისა პირველი წიგნი. ავტორის სურათით, ფასი 50 კაპ.

2, „მარგარიტა გოტიე“ ალ. დიუმაშვილისა, ფასი 40 კ.

3, „ველდას ქართული კალენდარი“, ფასი 35 კ.

4, „დემონი“ თარგმანი მამია გურიელისა მოარგმნელის და სხ. 8 ნახატით — 10 კ.

5, „სხუქარი“, სახალხო და საყმაწვილო ლექსთა კრება — — — — 5 კ.

დაიბეჭდა და იყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამოცემა

№ 27

ოქროს მოყვარულები

მოთხრობა ცშოკესი

გადმოღებული

ელენე წერეთლის მიერ

ფასი 15 კაპ.

(1—10)

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1896 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

რედაქცია ყოველ ღონისძებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით ან დაიბარა ახლაც პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ

ხელის მოწერა მიიღება

თფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის, ვ. ბეჟანეიშვილის, ძმათ წერეთლების, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში.—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან.—ფოთში: მიხეილ თურქიას.—მისხიჯოვაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას.—თიონეთში: ივ. ჩიბალაშვილს.—გორში: არსენ კალანდაძეს—ჭიათურაში: თედორე კიკვაძეს; ყვირილაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში—ახალციხეში ტ. ოზურგეთში: კ. თავართქილაძეს.—საჩხერეში: ყარამ. ჩხეიძეს.—თელავში: მიხეილ ცისკარაშვილს.

1896 წლის ხელის მომწერლებს „კვალისას“ დაურიგდებათ ჰრემიათ ახალი რომანი გიორგი წერეთლისა, სახელათ

„გულქან“

რომანი შედგება სამი ნაწილისაგან.

ისყიდება

საქველმოქმედოთ

თამარ მეფის

და შოთა რუსთველის

სახიანი

ფოსტის ჟალალდი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

ფფურცელი თითო კაპიკათ.

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება ზეპირსიტყვაობის ფონდს და ნახევარიც მოხმარდება იაფ-ფასიან და მუქთათ დასარიგებელ სახალხო წიგნაკების გამოცემას.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ „კვალი“-ს რედაქციაში, ან დაიბარონ ფოსტით დ. ყვირილიდან მიხეილ ბარამძისაგან.

მოკლე ხანში გამოვა სხვა მოღვაწეების სახიანი ჟალალდიც.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეშვიდე

გამოვა 1896 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალში მონაწილეობის ძიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში (д. зем. банка № 32) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

2) ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—Გ. ᲑᲔᲥᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ, და თ. მთავრიშვილთან.

3) ᲒᲝᲠᲨᲘ—ᲐᲠ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

4) ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ—Მ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲠ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

5) ᲗᲔᲚᲐᲕᲨᲘ—Მ. ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲨᲘ.

6) ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ—ᲧᲐᲠᲐᲛᲐᲜ ᲩᲮᲔᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

7) ᲗᲘᲝᲜᲔᲗᲨᲘ—ᲘᲕ. ᲩᲘᲑᲐᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ.

8) ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ—ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

9) ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲨᲘ—Ი. ᲤᲐᲜᲪᲣᲚᲐᲘᲐᲡᲗᲐᲜ.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა

უმაღლესი მანიფესტი

წყალობითა ღვთისათა

ᲩᲕᲔᲜ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲔᲝᲠᲔ, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიათ რუსეთისა, მეფე პოლონიისა, დიდი მთავარი ფინლანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა.

ეუცხადებთ ყოველთა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა:

ნებითა და წყალობითა უფლისა ყოვლისმპყრობელისა შევასრულეთ რა ამა ბრწყინვალესა დღესა წესი წმინდის გვირგვინის კურთხევისა და მივიღეთ რა წმინდა მირონცხება, შევუერდებით ტახტსა ქვეშ ცათა მეუფისა გულ-მხურვალე ლოცვით, რათა აკურთხოს მან მეფობა ჩვენი კეთილ მისაგებელათ საყვარლისა სამშობლოისა და განგვამტკიცოს ჩვენ შესრულებათ წმიდისა აღთქმისი ჩვენისა—მტკიცეთ და განუხრელათ განვაგრძოთ გვირგვინოსანთა წინაპართა მიერ ჩვენდამო სამკვიდროთ გადმოცემული საქმე რუსეთის ქვეყნების განწყობისა და მათ შორის სარწმუნოებისა, კეთილთა ზნეთა და ჭეშმარიტის განათლების დამკვიდრებისათვის.

შევიგნეთ რა საჭიროება და მწუხარე მდგომარეობა ყოველთა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრომთა და მივეპყრობთ რა თვალთა ჩვენთა განსაკუთრებით შეჭირვებულთა და ტვირთ მძიმეთა, თუნდ რომ ისინი თვისი ნებით და დაუდევრობით შთავარდნილ იყონ ამა მწუხარე მდგომარეობაში, მიეენდობით ჩვენსა გულის-ზრახვასა, რათა მივანიჭოთ ამათაც შეძლებისამებრ საღვთო და ამ ღირს შესანიშნავს დღეს ჩვენის წმინდის კურთხევისა მეფობაზე, ისინიც განახლებული ცხოვრებით და სიხარულით ეგებებოდენ მთელის ერის სიხარულს და აღტაცებას.

ამ განზრახვით ყოველად მოწყალეთ ებრძანებთ:

1) მიენიჭოს ქვემო მოხსენებული საღვთო სხვა-და-სხვა გადასახადებზე:

1) განირიცხოს ყველა შემოუტანელი ხარჯები (ნედოიმკები), რაც არის 1896 წლის 1-ლს იანვრამდე;

ა. ევროპის რუსეთის გუბერნიებში—სახელმწიფო ადგილ-მამულის გადასახადი, და

ბ. პოლონიის სამეფოს გუბერნიებში—ადგილ-მამულის გადასახადი, გმინის სასამართლოებისათვის შეწერილი გადასახადი და საკვამლო გადასახადი გლეხებზე, რომელნიც ცხოვრებენ სოფლათ, დაბებში და ოჯახებში.

2) ათი წლის განმავლობაში ამ 1896 წლიდან მოკიდებული გამოერთვას სახელმწიფო ადგილ-მამულის გადასახადი ევროპის რუსეთში ყოველ წოდების მცხოვრებთა, მხოლოთ ნახევარი იმისა, რაც აქამომდე შეწერილი ჰქონდათ. ხოლო იმ გუბერნიებში, საცა საშუალო გადასახადი აღემატებოდა დესიატინაზე ორ შაურს, იმათ დესიატინაზე გადახდება, მხოლოთ ერთი შაური.

3) ამავე მეორე მუხლში ნაჩვენებ ვადის განმავლობაში გადახდეს, მხოლოთ ნახევარი ხარჯი პოლონიის სამეფოს გუბერნიაში მცხოვრებთა საგლეხო, სადაბო და საოჯახო გადასახადი და საადგილ-მამულო გადასახადი შეწერილი გმინის სასამართლოებისათვის.

4) თუ მესამე და მეოთხე მუხლში ნაჩვენებ ათი წლის ვადაში შემცირდება ამ მუხლებში დასახელებული გადასახადები, უნდა გამოერთვას აღნიშნულ ვადამდე ნახევარი იმისა, რაც შემცირებულ გადასახადათ დადგენილი იქნება,

5) განირიცხოს ყველა შემოუტანელი გადასახადები, რომელნიც ევროპის რუსეთში დაწესებული ყოფილა და შემდეგ მოუშლიათ სულზე, იჯარებზე და ტყეებზე დღემდე ჩვენის გვირგვინის კუთხევისა.

6) განირიცხოს ის ნაწილი შემოუტანელი გადასახადისა, რომელიც ირიცხებოდა სულზე და იჯარებზე ციმბირში და რომელიც პიროვნულ თავდებობაზე იყო შეწერილი. დანარჩენი შემოუტანელი გადასახადები, რომელნიც ირიცხებოდენ იმათ ვადამდე თურქისტანის მაზრაში, ეგრეთვე რაც შემოუტანელი იყო ადგილის გადასახადი, ან საკომლო შემოუტანელი გადასახადი, რაც ითვლებოდა კავკასიის სოფლის მცხოვრებზე, ან კიბიტკებზე, უნდა განაწილდეს იმ ანგარიშით, რომ ყოველ წელიწადს გამოერთვას მცხოვრებს მეათედი აქამომდე დარჩენილი გადასახადისა, რომ მისი გადახდა შეივსოს ათის წლის განმავლობაში.

9) განირიცხოს 1896 წლის პირველ იანვრამდე შემოუტანელი გადასახადები:

ა. იმ კავკასიის მცხოვრებთათვის, რომელთაც ჯარის კაცის მაგიერათ ფულის გადასახადი ჰქონდათ შეწერილი, და

ბ. საკომლო გადასახადი, რომელიც კავკასიაში ქალაქის მცხოვრებლებს ჰქონდათ შეწერილი.

10) განირიცხოს ანგარიშებისაგან ის ნაწილი შემოუტანელი გადასახადისა, რომელიც შეგროვილა 1896 წლის 1-ლს იანვრამდე ტყეებზე და ახდევინებდენ გლეხებს იმ მიზეზით, რომ მათ არ ჰქონიათ კუთვნილების საბუთი. აგრეთვე მცხოვრებთა სამადნო წარმოების მაზრებში. ა, თუ ეს შემოუტანელი გადასახადი აღემატება მთელი წლის გადასახადს 1895 წლისას, იმ შემთხვევაში რაც არ ეპატივება, ის უნდა განაწილდეს ისე, რომ ყოველ წელიწადს გადახდეს მხოლოთ მეხუთედი ნაწილი მთელი წლის გადასახადისა; ბ, რომელსაც ნება დართული ჰქონდათ შემოუტანელი გადასახადის გადახდა ნაწილ-ნაწილათ ხუთ წელზე მეტ ვადაში, ისინი უნდა სარგებლობდენ ამ საღავათით შემდეგაც იმ ზომით, როგორც ზევით არის ნაჩვენები.

14) ნუ გადაახდევინებთ სახელმწიფო ბეგარას, რომელიც მოხსენებულია 1—13 მუხლებში და უნდა შემოეტანათ 1886 წლის 1-ლ იანვრამდე, მაგრამ რამე მიზეზების გამო არ ყოფილა ხაზინის ანგარიშში ჩარიცხული ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე.

17) რაც გადასახლებულებზე ითვლებოდა საიჯარო მიწის გადასახადი ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ყველა უნდა ეპატივოს მათ უმაღლესათ დამტკიცებულის 10 ივლისს 1881 წ. და 17 თებერვალს 1894 წ. მინისტრების კომიტეტის დადგენილებისამებრ; უნდა ეპატივოს მათ ის საიჯარო გადასახადი მიწებზე, რაც ყოფილა გადასახადის შემცირებამდე რომელიც დაამტკიცა უმაღლესათ სახელმწიფო რჩევამ 28 ნოემბერს 1894 წ.

18) ეპატივოს გადასახლებულებს ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე ყველა შემოუტანელი სახელმწიფო გადასახადები, რომელნიც მათ ჰქონიათ უწინდელ საზოგადოებაში, საცა ისინი ყოფილან ჩარიცხული, იმ დრომდე, როცა ისინი იქიდან სხვაგან გადასულან და მიწერილან ახალ საზოგადოებაში (მუხლ. 19 – 24 დამატება 33 მუხლის შენიშვნისა) ცალკე დადგენილება I, და მისი განგრძობა 1891 წ.)

19) პირველ იანვრამდის 1896 წლის, რაც ხარჯი უნდა შემოვიდეს ხაზინაში ეაჭრობისა და მრეველობიდან (კანონთ კრება, ტომი V, წესდება პირდაპირი ხარჯის გაწერისა, გამოცემა 1893 წ. მუხ. 213—454) გარდა დამატებითი საპროცენტო ფულისა, უნდა განირიცხოს ის გადასახადი, რომელიც არ გადაემეტება ხუთ თუმანს. ამაზე მომეტებული გადასახადი კი, რაც შედგება, ხუთი თუმნის გამორიცხვით თვითოეულზე უნდა გამოერთვას.

20) უნდა ეპატიოს ყველა შემოსატანი გადასახადი, რაც დაგროვილა 1-ლ იანვრამდე 1896 წლისა სამადნოებში, მაგრამ კერძო დაწესებულებას და ხარჯის მძღეველს ხუთ თუმანზე მეტი არ ეპატივება. ხოლო საცა, ან ვისაც ხუთ თუმანზე მეტი აქვს შემოსატანი, იმათ ხუთ-ხუთ თუმანს აპატივებენ დანარჩენს გადაახდევინებენ.

21) დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხეისა, რაც გემით სასიარულო წყლებზე და გზა-ტკეცილებ-

ზეა შემოსატანი გადასახადი ეპატიეოს თითოეულს პირს სამას მანეთამდე.

22) ჩვენის გვირგვინის კურთხევამდე ხუთი წლის განმავლობაში რაც შემოუტანელი პოშლინები აქვს ვისმეს მეჭეევის პლანებზე და წიგნებზე, ყოველიეე ეპატიეოსთ.

24) ეპატიეოსთ ყველა შემოუტანელი გადასახადი ზე-დამატებიანა და ჯარიმიანათ, რომელიც გადაწყვეტილი არიან ხაზინის სასარგებლოთ სასმელებზე პოლონიის სამეფოში იმ დრომდის, სანამდის იქ სასმელებზე ახალი წესდება შემოეიდოდა.

II. ეპატიეოსთ კუთვნილი, მაგრამ ჩვენის გვირგვინის კურთხევამდე ჯერ კიდეე აუღებელი:

1) ყოველნაირი შტრაფები და ჯარიმები პირდაპირ გადასახადებზე (კან. კრება ტ. V წესდება პირდაპირ გადასახ. გამოც. 1893 წ. მუხ. 1), გარდა მოხსენებელის მეორე პუნკტში ამა მეორე მუხლისა აგრეთვე ნაყიდობაზე პოშლინა მემკვიდრეობით გადასულ მამულებზე.

2) ეპატიეოს ჯარიმა სამას მანეთამდის ეაპრობისა და მრეწველობის წესდების დარღვეევისათვის დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, აგრეთვე წესების დარღვეევისათვის საორთქლე ქვაბებზე; ხოლო ჯარიმა, რომელიც აღემატება სამას მანეთს უნდა შემოიტანონ სამასი მანეთის გამორიცხვით.

3) უნდა ეპატიეოსთ ღერბის ქაღალდის ჯარიმა იმათ, ვისაც დაურღვევია ღერბის ქაღალდის წესდება, სამას მანეთამდის თითოეულს პირს. ხოლო ვისაც ამაზე მეტი ჯარიმა მოუწეეთ, იმათ კი გამოერთმევათ სამასი მანეთის გამოკლებით. ვისაც ეს წესდება დაურღვევია ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, და აქამომდე არ გამოცხადებულა, იმათ ყველა ჯარიმა გერბის ქაღალდისა ეპატიეებათ, რაც უნდა დიდი ფასისა იყვეს.

4) უნდა ეპატიეოს ჯარიმა სახელმწიფო ხაზინაში თავის დროზე შემწეობის შეუტანელობისათვის.

5) უნდა ეპატიეოს: მადნეულობის მწარმოებელთა სახელმწიფოთ გაცემულ სამადნო მიწებისათვის ა, დესიატინის გადასახადი და აგრეთვე რაც დამუშავებული მადნეულისათვის შეხედება და ჯარიმა სამადნო წესდების დარღვეევისათვის.

6) ჯარიმა თავის დროზე შეუტანლობისათვის დესიატინაზე გადასახადისა იმ სახაზინო ადგილებზე, საცა მადნეულობას მუშაობენ.

7) ეპატიეებათ ის ნაწილი გადასაგადისა, არა უმეტეს სამასი მანეთისა, რომელნიც უკვე დაედვათ ხაზინაში შესატანათ 1-ლ იანვრამდის 1896 წ. თევზისა და ზღვის ძაღლების მჭერლებს კასპიის ზღვაში და აღმოსაელეთის კავკასიის მდინარეებში წესდების დარღვეევისათვის.

8) ეპატიეებათ ჯარიმა უწესოთ დაეის ატეხისათვის და უმართებულოთ აპელაციის შეტანისათვის რაც ჯარიმაა ხაზინის სასარგებლოთ დადებული, იმის ნახევარი დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა.

9) თავის ნებით საზღვარ გარეთ გასვლისათვის რაც ჯარიმა დატეხილათ თავზე მთავრობის მიერ, ყოველიეე ეპატიეებათ გარდა იმისა. რაც ქალაქებს ეკუთვნის და რაც უნდა შეირიცხოს ინვალიდის თავნის სასარგებლოთ.

III. განირიცხოს ანგარიშისაგან გადუხდელი ხარჯები დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, რომელნიც I და II მუხლების სტატიებში არ არიან მოხსენებულნი, აგრეთვე ეპატივოს ხარჯები დატყვეებულების სარჩენათ და წასაყვან-წამოსაყვანათ შეწერილი დამნაშავეებზე, ორმოც და ათ მანეთამდე, თუ შემოუტანელი გადასახადი ამაზე მეტია, მაშინ გადახდეს დამნაშავეთ ეს ხარჯი ხუთი თუმნის გამორიცხვით თითოეულ პირზე.

IV. I, II, III მუხლების სტატიები არ შეეხებიან იმ ფულებს, ა, რომელნიც ხაზინას არ ეკუთვნიან და თუმცა ხაზინაში ინახებიან, მაგრამ თავისი საკუთარი დანიშნულება აქვთ.

ბ, არ შეეხებიან სახაზინო იჯარებზე გადასახადს.

გ, არ შეეხებიან პატენტს, აკციზის და დამოქნის გადასახადებს.

დ, არ შეეხებიან იმ თავნის ფულებს, რომელნიც დანიშნულნი არიან სახელმწიფო ხაზინის და სახმარებლათ და

ე, არ შეეხებიან შემოუტანელ ჯამაგირის მესამედის გადასახადს იმ პირთა მიერ, რომელნიც იღებენ ამა ჯამაგირებს.

VI. ეპატიეოსთ ყველა მოსამსახურეებს ვინც კი პენსიას იღებს და მეტი პენსია მიულია ვიდრე ეკუთვნოდა 1896 წლის 1-ლ იანვრამდის.

VII. განირიცხოს ყოველიეე ზარალი, რომელიც ხაზინას მოსვლია ჩვენი გვირგვინის კურთხევამდის მითი, რომ უკანონოთ დაუნიშნავეთ და მიუცავთ სამსახურიდან დათხოვილ ჯარის კაცებისათვის, მათი ცოლებისათვის და ქვრივებისათვის ერთ დროებითი, ანუ მთელ სიცოცხლეში განწესებული შემწეობა.

VIII. განირიცხოს და გაუქმდეს ყველა ვალები, ვისაც კი გადასახდელათ თავზე დატეხია ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე კერძო კაცს, საზოგადოებას და დაწესებულებათა ექიმობისათვის, ავათმყოფების შენახვისათვის ყველა საავათმყოფოებში, ლაზარეთებ-

ში, ლოშპირალებში და ავათმყოფთა თავ-შესაფარებელ დაწესებულებებში, აგრეთვე დაწესებულებებში იმპერატორიცის მარიამისა, რომელთაც წარუდგენდენ ხოლმე თავის საანგარიშო ხარჯთ-აღრიცხვას საპეკუნო რჩევას.

IX. ნუ გადახდება და განირიცხოს ანგარიშებიდან:

I. 1896 წლის 1-ლ იანვრამდე რაც გადასახადი ფულია სხვა-და-სხვა გუბერნიების თავად-აზნაურობაზე საზნაურო პანსიონერების აღსაზრდელათ, რომელნიც სწავლობენ საერო სამინისტროს სასწავლებლებში.

2) ხვედრი ფული, რომელიც მეორე ნახევარი $189^5/_6$ წლის ანგარიშში უნდა შემოეტანათ სწავლისთვის, ლექციების მოსასმენათ და საქალაგო, ან საავადო პანსიონების ყმაწვილებისათვის ხაზინაში ან სპეციალურ თავნში სახელმწიფო სასწავლებელთა, და დანიშნულ ვადამდის არ შეუტანიათ დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, უნდა ეპატიოსთ; იმ შემთხვევაში, თუ უკვე შეტანილია, უფლება მიეცეს სასწავლებელთა უფროსებს ეს შემოტანილი ფული ჩაურიცხონ მოწაფეებს შემდეგ ნახევარი წლის შესატან ფულში, თუ რომ მოწაფე ღარიბია და თავის კარგი ყოფაქცევით ღირსია ამ საღავათისა.

3) გადუხდეველებელი ფული, რაც კი დაგროვილა 1896 წლის 1ლ იანვრამდის დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა იმპერატორიცის მარიამის დაწესებულებათა მოწაფეებს უნდა ეპატიოსთ.

ამას გარდა ის პირნი, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი გაუთავებიათ და ეგზამენებს იჭერენ სახელმწიფო კომისიაში 1896—1897 წლებში უნდა განთავისუფლდენ შესატან ფულისაგან, უკეთუ ისინი წარადგენენ უნივერსიტეტის მთავრობისაგან სიღარიბის მოწმობას.

X. განთავისუფლდენ იჯარით ამღებნი სახელმწიფო, საუფლისწულო, სახასო და ჩვენი კაბინეთის კუთვნილი მამულებისა სხვა-და-სხვა გადასახადისაგან, რომელიც ქვემორე ამისა მოხსენებულია:

I. სრულიად ეპატიოსთ მამულების და საბეგრო ადგილების გადასახადი მოიჯარადრეებს, რომელთაც ეს გადასახადი დატეხილათ თავზე 1893 წლის 1-ლ იანვრამდე და დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა არ გადაუხდიათ: ხოლო ვისაც კი ამ ვადას შემდეგ არ შემოუტანიათ კუთვნილი გადასახადი 1896 წლის 1-ლ იანვრამდე, ეგრეთვე სახელმწიფო თეეზსაჭერ ადგილების მოიჯარადრეებს, და კასპიის ზღვისპირათ ადგილების მოიჯარედრეებს, რომელთაც გაუმართავთ იქ თევზის საჭერი მოწყობილობა ეპატიოსთ გადასახადი თითო პირზე ექვსასი მანეთი; თუ რომ ეს საბეგრო ადგილები უჭირავს გლეხის საზოგადოებას, ან ამხანაგობას, რომელიც შედგება არა ნაკლებ სამი კაცისაგან, თითოს ეპატიოს ორასი მანეთი, ხოლო თუ ამხანაგობა ორი კაცისაგან არის შემდგარი, თითოს უნდა ეპატიოს სამასი მანეთი.

2) ეპატიოსთ შტრაფები და დამატებითი ხარჯები დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა იმ ადგილის მოიჯარადრეებს, რომელთაც კანტრახტები საბეგრო მამულებისა დაურღვევიათ, მაგალ. ვისაც რიგიანათ არ მოუხნავს საბეგრო მამული, ან მეტი ადგილი დაუხნავს, ან რა თესლიც ნარჩევი იყო, ის არ დაუთესავს, ან მიწა არ გაუსუქებია, ან ნამყენები არ დაურგავს, ან ახალი ტყე მოუკრია და სხვა ამისთანები—თითოეულ კაცს ეპატიოს სამას მანეთამდე, ანუ თუ მამული გაცემული ყოფილა იჯარით ამხანაგობაზე, რომელშიაც ექვსი კაცი ითვლება, თითო კაცს ეპატიოს ხუთი თუმნის გადასახადი, ნურც დაადებენ ახალ ჯარიმებს იმათ დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა.

3) არ უნდა გადახდეს ზარალი, რაც ყოფილა დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, იმ მოიჯარადრეებს, რომელთაც გაცემულ ადგილებისთვის თავი დაუნებებიათ, ან შეუმცირებიათ საბეგრო ფული, არც იმათ უნდა გადახდესთ ჯარიმა, რომელთაც კანტრახტებისათვის თავი დაუნებებიათ, იმ ზალოგებისა, რომელნიც მიუტოვებიათ ადგილ-მამულის იჯარით ასაღებათ.

4) განირიცხოს და ეპატიოსთ ყოველივე ჯარიმა უწინდელსა და ახლანდელს მიწის მოიჯარადრეებს და მობეგრე კაცებს, რაც კი მათ დადებიათ დღემდე ჩვენი გვირგვინის კურთხევისა, დროზე საიჯარო გადასახადის შემოუტანლობის გამო. აგრეთვე სამარილე ადგილებისა, ფისისა და კუპრის სახდელ ადგილების ფასის შემოუტანლობის გამო.

XI. მიეცეს საღავათი მოსესხე წოდებათა და საზოგადოებათა, რომელთაც სხვა-და-სხვა დროს აუღიათ ხაზინიდან ვალები:

1) განირიცხოს და ეპატიოს პრიკაზის მოვალეებს, რომელთაც აუღიათ ქალაქისა და სოფლის მამულებზე სესხი, ერთი მეხუთედი თავნისა, სარგებლისა და ჯარიმების, რაც რომ მათ თავს დატეხიათ 1-ლ იანვრამდის 1896 წ. შემდეგი წესით:

ა, ჯერ უნდა განირიცხოს შეუტანელი ფული და შემდეგ თავნი ვალიდან მოეკრას ერთი მეხუთედი.

ბ, დანარჩენი თავნი ვალისა უნდა განაწილდეს უწინდელ ვადაზე და გადიხადონ ნაწილ-ნაწილათ, როგორც წესია მიღებული ბანკებში ხუთი პროცენტის ანგარიშით; ამას შემდე რაც პროცენტი და თავნი ვალი დარჩება მამულებზე, ისინი უნდა გადახდე-

ეინონ ხოლმე იმ წესით, რაც პრიკაზშია მიღებული.

გ, იმ მსესხებლებს, რომელთა სესხსაც უმაღლესი ბძანებისამებრ 20 თებერვალს 1888 წლისა თუთხმეტი წლის ვადა მიეცათ, მეხუთედი ნაწილი ეპატიებათ მარტო იმ თაენზე, რომელიც პირველ თუთხმეტ წელიწადს უნდა გაისტუმრონ, ხოლო მეორე თუთხმეტის წლის ვადით გასასტუმრებელი თაენი ხელშეუხებლათ რჩება.

დ, ამ რიგათ აღრიცხული თაენი რომელიც სესხათ ედება თითოეულს მოსესხეს, 1-ლს იანვრამდის 1896 წ. და ყოველ წლიური შესატანი ფული უნდა დამტკიცდეს საფინანსო მინისტრის მიერ.

2) ეპატიოსთ და ანგარიშებში გაუქმდეს, რაც რომ სესხი ითვლება დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა სახელმწიფო ხაზინიდან აღებული, აგრეთვე უწინდელი მოსესხე ბანკიდან და სხვა-და სხვა სამინისტროს თაენებიდან გასული ფული, რომელიც უმაღლესათ ნება დართული იქმნა 4 მარტს და 24 ივნისს 1880 წელსა და განკარგულებისამებრ უწინდელის მთავარ მართებლისა გადაეცა კავკასიის კრედიტს რიცხვით მილიონ ნახევარი თაენი კავკასიის აქეთა მხრის მცხოვრებლების გასაკეთებათ, აგრეთვე ეკლესიების ასაშენებლათ და მიწის-ძერით დანგრეული სახლების შესაკეთებლათ.

3) ეპატიოს სრულიად სესხი სახელმწიფო ხაზინიდან გაცემული იმ პირებზე და საზოგადოებებზე, რომელნიც ცეცხლით დაზარალებულან 1890 წლამდე.

4) ხაზინიდან გატანილ სესხებზე დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, რომელი მიცემიათ კერძო პირებს და საზოგადოებათა ცეცხლითა და წყლით დაზარალების გამო, აგრეთვე სხვა უბედურებების გამო, გარდა იმ შემთხვევათა, რომელნიც XI სტატიის მესამე მუხლში არიან მოხსენებულნი, ეპატიოსთ ყოველივე შემოუტანელი ფული და პროცენტები იმ მსესხებლებს, რომელთა შემოსატანი გადასახადი იმდენია, რომ გატანილ სესხს უდრის; ხოლო სხვა მსესხებლებს ამნაირ სესხის ფულებიდან ეპატიოს მხოლოთ სამას-სამასი მანეთი თითოეულ სესხზე. იმ მოსესხეთ, რომელთაც სამას მანეთზე მეტი აქვთ გატანილი, სამასი მანეთი გამოერიცხოსთ და დანარჩენი გადახდესთ. იმ სესხებზე, რომელთაც ვადა გასულიათ და არ შემოტანილან, ეპატიებათ მარტო ახალ ვადაზე შემოსატანი ფული.

11) ეპატიოსთ სესხები იმ მცხოვრებლებთა, რომელთა სამადნო ადგილები სახელმწიფო ხაზინაში დაგირავებულია და სამადნო ადგილების მეპატრონეთა სესხი გადატანილია იმ მცხოვრებლებზე, რომელნიც ადგილში მეპატრონეებს იჯარას აძლევდენ და ამ იჯარის სამაგიეროთ მათ დაატყდათ გადასახდელათ სახელმწიფო ვალი, ადგილის მეპატრონეთა მიერ აღებული.

14) იმ სესხებზე, რომელნიც ხაზინას მიუცია ქალაქებისა და სხვა-და-სხვა ერობისათვის ან წლიური ანგარიშების გასასწორებლათ, ან გადამდები ავათმყოფობის მოსასპობათ, ან გზების გასაყვანათ, მდინარეების კიდეების გასამაგრებლათ და დამზღვევი საზოგადოების დასახმარებლათ, ეპატიოსთ სარგებელი, რომელიც არ ყოფილა შემოტანილი დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა.

16) ეპატიოსთ მებატონეებს საგლეხო ადგილმამულის გამოსაყიდველათ აღებულ სესხებზე ყოველივე ჯარიმა, რაც რომ დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა მათ თავზე დატეხიათ და ჯერ კიდევ არ გადაუხდიათ.

XII. ეპატიოსთ ქვემოხსენებული წეს-რიგით ჯერ გადუხდეველნებელი დატეხილი ვალი, ზარალი და დაკარგული ფული ჯამაგირებში, სახარჯოთ, ან გზის ფულათ და სხვა აღებული, როგორც ხაზინის, ისე იმპერატორიცის მარიამის დაწესებულებათა, რომელნიცა მომხდარან უკანონოთ გაცემით სახელმწიფო მოხელეებზე, რაც კი ამისთანა ზარალი მომხდარა ჩვენის გვირგვინის კურთხევამდის:

1) ის ზარალი და დაკარგული ფული, რომელიც ჩვენის გვირგვინის კურთხევამდის არ განხილულა და ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა, უნდა ეპატიოს და იმათ წამღებს ნულარ შეაწუხებენ, თუ ეს ზარალი არ აღემატება სამას მანეთს თითოეულ პირზე.

2) ზარალი და დაკარგული ფული მოხელე პირებზე, რომელნიც აღმოჩენილან ჩვენი კურთხევის დღემდე უნდა ეპატიოსთ, თუ თითოეულ მოხელეზე სამას მანეთზე მეტი ზარალი არ იქნება.

3) ზარალი და დაკარგული ფული, რომელიც სამას მანეთს აღემატებიან უნდა გადახდესთ თითოეულს პირს მხოლოთ სამასი მანეთის გამორიცხვით.

4) თუ რომ ვისმე მოხელეს ჩვენი კურთხევის დღემდე ჯილდოთ, ან ისე კანცელარიის შტატის ფულებიდან და სხვა წყაროებიდან წაუღია და თავს დატეხია ნება-დაურთველათ მთავრობისა, ნულარ იძიებთ და ნუ მოეხსენებათ სახელმწიფო მოხელეთ. ამ მეოთხე მუხლისამებრ თუ ვისმე მიცემია საჩუქრათ და შემწეობათ ფული იმ თაენიდან, რომელსაც სრულებით სხვა დანიშნულება ჰქონია, უნდა ეპატიოსთ სამას მანეთამდე ერთი წლის ანგარიშში თითოეულს პირს, დანარჩენი კი უნდა გადახდეს.

5) რაც დაკარგული და დანაკლისი ფული აღმოჩენილა ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე მოსამსახურეთა უმართებულო მოქმედებისაგან და უნდა

გადაახდევინონ ერთი-ორათ ხაზინის სასარგებლოთა ან იმპერატრიცის მარიამის დაწესებულებათა სასარგებლოთ, დამნაშავეთა, ან იმათ მოთავედებე პირთა, ან სხვათა, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ამ ზარალში და დანაკლისში, იმათ უნდა გადახდესთ მხოლოთ თავენი დანაკლისი და არა ერთი ორათ.

6) სარგებელი, რომელიც ხაზინისა, ანუ იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა მავნებლობისათვის უნდა გადაეხდევინებიათ დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, აღარ გადაახდევინონ გარდა თავენი ფულისა, რომელიც გატანილი ყოფილა.

7) რაც ფული სახელმწიფო სამსახურში რომელიმე მოხელეს თავს დატეხია, ის მომკედარა და მის მაგივრათ მემკვიდრეებს ედებათ გადასახდელათ, ან იმათ მოთავედებე პირებს, რომ მემკვიდრეების მამული ვერ აუვა ამ ვალს, აგრეთვე რაც ფული ქვრივების და ობლების პენსიებს დატეხია თავზე, უნდა ეპატიოსთ.

8) უნდა ეპატიოსთ სულ ყველა ფულები, რაც კი დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა მოსამსახურეთა თავს დატეხიათ გადასახდელათ, ან იმის გამო გამხდარან აბაში პასუხის მგებელი, რომ ნამდვილი დამნაშავე გაქცეულა და ვეღარ უნახავთ.

9) ნუღარ დევინიან იმ ზარალისა, დანაკლისისა და მეტის წაღებულისათვის, რომელნიც მოსამსახურეებს ჩაუდენიათ და მას შემდეგ ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე გასულა არა ნაკლები ათის წლისა.

10) რაც მოსამსახურე პირებს თავს დატეხიათ შტრაფები, ან რაც იმთგან ხაზინას ერგება გერბის ქაღალდის ფული, იმის შტრაფები დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა ყოველივე ეპატიოს და მხოლოთ გადახდეს მარტო ის ფული, რაც გერბის ქაღალდის ფასია.

11) განირიცხოს ანგარიშებიდან რაც ფული ითელება სახელმწიფო რკინის გზის მოსამსახურე პირებზე ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ან თუ მათ შეეწერათ რიმე დანაკლისი ფული კონტროლის განხილვით, ან თუ ეისმესთვის გადაუხდევინებიათ მეტი ფული საქონლის გადატანაში ტარიფის წინააღმდეგ.

12) ეპატიოსთ და ნუ გადაახდევინებთ შტრაფებს და ჯარიმებს იმ საქმეებისათვის, რომელნიც არ ჩაითვლებიან ხაზინისა და იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა საზარალოთ დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, მაგრამ სამსახურში უდარდელობისა და უწესო მოქმედების გამო შეწერილს. ამასთანავე უნდა ეპატიოთ შტრაფები და ჯარიმები იმის გამო, რომ თავის დროზე არ წარმოუდგენიათ ანგარიშები, დოკუმენტები და სხვ., აგრეთვე რაც თავს დატეხიათ მოსამსახურე პირთ თანახმათ 30 მუხლისა იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა კონტროლის შესახებ.

13) მე-XII მუხლის წინა პუნკტების ძალა არ შეეხება იმ ფულებს, რომელნიც არ ეკუთვნიან ხაზინას, მაგრამ ხაზინაში კი ინახებიან, არც იმ თავენებს, რომელნიც საქველ-მოქმედოთ არიან დანიშნული, არც იმათ, ვისაც ხაზინის კუთვნილება რიმე მოუპარავს, რომელიც სახელმწიფო მოხელეს ჰქონია მიბარებული, არც იმათ, ვინც ბოროტ განზრახულებით და ანგარების მოყვარეობით ყოფილა დამნაშავე ხაზინის ზარალში ჩვენი გვირგვინის კურთხევამდის.

14) უნდა მოისპოს ყოველივე საქმე სახელმწიფო კონტროლის მიერ აღმოჩენილ დანაკლისზე სახელმწიფო მოხელეებისა, თუ რომ დამტკიცდება, რომ იმათ ბოროტ-განზრახულებით და ანგარების მოყვარეობის გამო არ მიუციათ ზარალი ხაზინისათვის დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა.

15) მე-XII მუხლის მე-7 და მე-8 პუნკტის ძალით მინიჭებული საღავათი შეეხება იმ პირთაც, რომლის წინააღმდეგ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე ანგარების მოყვარების გამო მათ მიერ მოხდენილ ზარალზე ხაზინისათვის, მაგრამ მემკვიდრეებს ეპატიეებათ მხოლოთ ის ზარალი, რომელიც ქვრივ ობლის პენსიებს დაატყდება გადასახდელათ; სხვა შემთხვევაში მემკვიდრეებს მიეცემათ საღავათი, რომელიც მოხსენებულია ამ მანიფესტის მე-XV მუხლში.

16) მე-XII მუხლის წინა პუნკტები შეეხება აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში დაქირავებულნი არიან, აგრეთვე კერძოთ დაქირავებულს ექიმებს და სტუდენტებს, რომელნიც დროებით გამოგზავნილი არიან გადამდები ავათმყოფობის, საქონლის ჭირის და სხვათა მოსასპობათ.

XIII. იმ პირთ, რომელნიც ყოფილან დამნაშავენი და ბოროტის მომქმედნი ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე მიენიჭებათ მოწყალება ქვემოხსენებული წესისა და რიგისამებრ.

1) ყველანი, რომელთაც ჩაუდენიათ დანაშაულობა და კანონით გადაწყვეტილი აქვთ დარიგება, შენიშვნა, საყვედური, ფულის ჯარიმა არა უმეტეს სამასი მანეთისა, დატუსაღება ციხეში, პატიესა და ღირსებების აუხდელათ, ყველა, ვინც კი დანაშაული ყოფილა სახელმწიფო ტყის მოჭრაში და ერთი ორათ უნდა გადახდესთ ჯარიმა, თუნდ სამას მანეთზე მეტი, უნდა იქმნენ განთავისუფლებულნი.

2) მიტევებულ იქმნენ ის დამნაშავე სახელმწიფო მოსამსახურენი, რომელთაც გაუფანტავსთ სახელმწიფო ქონება ას თუმნამდე და საპყრობილეში

ხედან, თუ რომ მათ დანაკლისი ღული შეუესიათ დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა.

3) უნდა გაათავისუფლონ სამართლისა, და დასჯისაგან ყველა დამნაშავენი, რომელნიც ექვემდებარებიან სისხლის სამართლის კანონების შემდეგ მუხლებს 193, 194, 194 და 1575 (კანონთ კრება ტომი XV გამოცემა 1885 წლისა და მათი გაგრძობა 1895 წ.)

4) ვისაც ჩვენი გვირგვინის კურთხევის დღემდე მოუხდენია დანაშაულობა, რომლისთვისაც მათ მოელისთ სასჯელი, ანუ შეპყრობა, საპყრობილეში ანუ ციხეში ჩასმა პატიესა და ღირსების აუხდელათ, აგრეთვე ვისაც უკვე გადაწყვეტილი აქვს ეს სასჯელი სამართლის წესით, იმათ უნდა შეუმცირდეს დასჯის ვადა ორი მესამედით.

5) მოსამსახურე პირებს, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ სასჯელი თანახმათ სისხლის სამართლის მე-65 მუხლის 2—9 პუნკტებისა, მიეცესთ ნება კვლავ განაგრძონ სამსახური და პენსია დაიმსახურონ, მხოლოთ იმათ არ ექნებათ ნება მიიღონ ორდენი წმინდა ვლადიმერისა სამსახურის ვადის შესრულებისათვის და კეთილ სინიდისიანათ სამსახურის ნიშნისა.

6) ყველას, ვინც კი 12 ივნისის 1886 წლის კანონის გამოცემამდე ყოფილან სამართლით ექვ ქვეშ დატოვებულნი, აგრეთვე მთავრობას დიდი ეკვით უდევნებია თვალ-ყური, უნდა აპატიონ და განთავისუფლონ ამ თვალყურის დევნისაგან.

11) დამნაშაველთა, რომელთაც სამართალს მიუსაჯავს დატუსაღება ციხეში ანუ საპყრობილეში, ყველა განსაკუთრებული, ანუ ზოგიერთი უფლების და უპირატესობის ახდით, აგრეთვე ყველას, ვინც უკვე დასჯილია შემდეგ ნაირათ ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ან ვინც უკვე დღემდე იხდის ამ სასჯელს, უნდა შეუმცირდეს ერთი მესამედი სასჯელისა.

12) მოსამსახურე პირები, რომელნიც დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა გამორიცხულნი არიან სამსახურიდან (65- მუხლი, 1, პუნკტი სისხლის სამართლის კანონებისა) იმ დანაშაულობის გამო, რომელნიც არ არიან ჩადენილი ანგარების მოყვარეობით, ანუ რა-მე პიროვნული სარგებლობის ძიებით, მხოლოთ გადაყენებულნი უნდა იქნან სამსახურიდან, ხოლო ისინი, რომელთაც მოელის გამორიცხვა სამსახურიდან, მარტო უნდა დაითხოვონ. ეს მოწყალება მიენიჭება იმ მოსამსახურე პირთაც, რომელნიც დღემდე დასჯილი არიან და სხვედან დროებით ციხეში ზოგიერთი უფლების და უპირატესობის ახდით (სისხლის სამართლის 50 მუხლი), გარდა იმისა, რომ მათ ერთი მესამედი სასჯელისაც შეუმცირდებათ, თანახმათ მე-XIII მუხლის მე-II პუნკტისა.

13) ამ მანიფესტით გათავისუფლებულებმა მაინც უნდა ზღონ ზარალი და ვნება, გადიხადონ პატენტისა და ეპჭრობა-მრეწველობის მოწმობისათვის ჯარიმა, რაც რომ აკციზით და სხვა სამართლის ხარჯი მისაჯული აქვთ, თუ ამისთანა ხარჯები მანიფესტის წინა მუხლების ძალით ნაპატიევები არა აქვთ ან სრულიად, ან ზოგი ნაწილი, აგრეთვე უნდა დააბრუნონ წაღებული ნივთები და საგნები, ან ზღონ მათი ფასი, მოვალენი არიან დაარღვიონ და გადააკეთონ უწესოთ დაწყებული შენობა. საქმეები, რომელნიც შეეხება ტყის წეს-დებულების დარღვევას სახელმწიფო და კერძო მეპატრონეთა, ან ხაზინასთან სადავო ტყეებში, უნდა დაბოლოდეს დადგენილი წესისამებრ, რომ განიმარტოს თუ რამდენი ზარალი უნდა აღუდგინონ კერძო პირებს და მთელ წოდებათა.

14) ვინც დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა გაუთავისუფლებიათ საპყრობილიდან და პოლიციის მხვდველობას ქვეშე დაუტოვებიათ, იმათ, უნდა შეუმცირდეს პოლიციის ზედამხედველობის ვადა ერთი მესამედით.

15) ვისაც კი ისეთი დანაშაულობა ჩაუდენია დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა, რომ უნდა გაგზავნონ ან განშორებულს გუბერნიებში საცხოვრებლათ, ან ციმბირში, ან ვინც უკვე ახრულებს ამ სასჯელს, ყველას ნება აქვს თავისუფლათ იცხოვროს საცა უნდა, თუ რომ გაგზავნილს, დაშორებულს გუბერნიებში ათი წელიწადი გასელიათ, ან და ვინც ციმბირში ვაგზავნილა და თორმეტი წელიწადი გასვლიათ დღეიდან იქ მისვლისა. იმათ ყველას ეძლევათ ნება, საცა უნდათ იცხოვრონ ევროპისა და აზიის რუსეთის ქვეყნებში, გარდა სატახტო ქალაქებისა და სატახტო გუბერნიებისა, თუმცა ახდილი უფლება აღარ დაუბრუნდებათ. გაგზავნილებს შორეულ გუბერნიებში საცხოვრებლათ გარდა ციმბირისა ტუსალათ, ანუ დაუტუსაღებლათ, აგრეთვე ციმბირში გაგზავნილებს ტუსალათ, ანუ დაუტუსაღებლათ. გარდა ამისა უნდა შეუმცირდეთ ერთი მესამედი დროტუსალათ ყოფნისა, ანუ იქ ცხოვრებისა.

16) ჩვენი გვირგვინის კურთხევამდის ვისაც დანაშაულობა ჩაუდენია, რომლისათვისაც მათ მიესაჯებათ გადასახლება, ან ვინც უკვე დასჯილა გადასახლებით, აგრეთვე ვინც კატორღიდან გადასულა გაგზავნილ გადასახლებულ გლეხთა წოდებაში, ანუ ისინი, ვისაც მოელის კატორღიდან ამ წრეში გადაყვანა, იმათ უნდა შეუმცირდეთ ოთხი წლით ვადა

ათი წლით გაგზავნილ გადასახლებულ გლეხთა წოდებისა. ხოლო გაგზავნილ დასახლებულებს თოთხმეტი წლის ვადათ ნება მიეცესთ ამოირჩიონ ადგილი ცხოვრებისა, გარდა სატახტო ქალაქებისა და სატახტო გუბერნიებისა, მხოლოთ ისინი უნდა დარჩენ არჩეულ ადგილს ხუთ წელიწადს პოლიციის ზედამხედველობას ქვეშ. იმათ ექმნებათ ახდილი ყოველ უფლების მაგიერათ ზოგიერთი უფლებანი პირადათ და მათი მდგომარეობის შესაფერ რომ ჰქონიათ უპირატესობა, ამასთანავე მათ არ დაუბრუნდებათ ქონებრივი უფლება.

17) ვისაც კატორღა აქვს გადაწყვეტილი, მას უნდა შეუმცირდეს ერთი მესამედით კატორღის ვადა. ხოლო ვინც უვადოთ არ-ან კატორღაში გაგზავნილი, იმათ ოცი წლის კატორღის ვადა მიეცემათ იმ დანაშაულობისათვის, რომელიც მას ჩაუდენია ჩვენი გვირგვინის კურთხევის დღემდე.

18) მოწყალებანი, მოხსენებულნი ამა მე-XIII მუხლის მე-15 და მე-16 პუნკტებში, მიენიჭებათ იმ პირთაც, რომელთა უმაღლესი ბძანებით მიესჯათ დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა სამართლით უფრო სასტიკნი სასჯელნი.

19) იმ პირთ, რომელთაც უკვე მინიჭებული აქვთ საღავათი წინათ გამოსული ყოველად მოწყალე მანიფესტებით მათ მდგომარეობაში, აღნიშნულსა ამა მე-XIII მუხლის 10, 11, 15, 16 და 17 პუნკტებში, მიეცემათ შემდეგი შემსუბუქება;

ა, რომელთაც უნდა მიესაჯოსთ დროებითი დატყვევება, ან ერთ ადგილს ცხოვრება, აგრეთვე რომელთაც მიესაჯათ ამგვარი სასჯელი და კიდეც ასრულებენ მას, უნდა შეუმცირდესთ ვადა დატუსაღებისა ან ერთ ადგილს განუშორებლათ ცხოვრების ერთი მესამედი ვადა იმ ნაწილის სასჯელში, რომელიც გადაწყვეტილი აქვს დამნაშავეს 14 ნოემბერს 1894 წელს გამოცემულის ყოველად მოწყალე მანიფესტის შემსუბუქებით;

ბ, ვინც გაგზავნილია ციმბირში საცხოვრებლათ, ანუ გარდა ციმბირისა მოშორებულს გუბერნიებში, შემდეგ 14 ნოებრის 1894 წლის მანიფესტის ძალით განთავისუფლებასა, მათ ნება მიეცესთ პასპორტის აღებისა მოუხსენებლათ, რომ ისინი გაგზავნილი ყოფილან. იმ პირთ, რომელთაც მიიღეს უფლება შემსუბუქებისა, აღრიცხულისა 14 ნოემბერს 1884 წლის ყოველად მოწყალე მანიფესტის მე-IV მუხლის 13 პუნკტში, შეუმცირდეს ვადა გაგზავნისა ერთი წლით.

გ, დასახლებულებს, რომელთაც მოიპოვეს უფლება გლეხთა საზოგადოებას მიუწერონ, ნება მიეცესთ სამოქალაქო წოდებას ციმბირისას მიეწერონ, თუ რომ ისურვებენ, მხოლოთ ნება არ ექნებათ ევროპის რუსეთში გამოეგზავნონ, სანამ 14 ნოემბრის 1896 წლის ყოველად მოწყალე მანიფესტი იმათ ამის უფლებას არ მისცემთ, ხოლო რომელთაც მიუღიათ ეს საღავათათ, იმავე მანიფესტის ძალით იმათ უნდა შეუმცირონ ციმბირში ცხოვრების ვადა ერთი წლით.

დ, კატორღაში მომუშავეთ უნდა შეუმცირდეთ მუშაობის ვადა ერთი წლით.

20) ამ მანიფესტით მინიჭებული საღავათი კატორღაში გაგზავნილებს, არესტანტებს, რომელნიც ზნის გასასწორებელ განყოფილებებში იმყოფებიან, გაგზავნილ—დასახლებულებს, საცხოვრებლათ გაგზავნილებს და ტუსაღათ მყოფთ აძლევს უფლებას, რომ მათ ვადა მათის სასჯელისა შეუმსუბუქდეთ, ხოლო მათ დამი მინიჭებული უმაღლესათ დამტკიცებული 7 მაისს 1894 წ: და 9 მაისს 1895 წ. წესები აგრეთვე აძლევს უფლებას ტუსაღებს და გაგზავნილებს, რომ ნება ექნესთ ქირით მუშაობისა ციმბირის რკინის გზაზე.

21) ოთხი წლით კატორღით დასჯილნი და დასასჯელნი, რომელთაც დანაშაულობა ჩაუდენიათ მცირე წლოვანობაში ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, უნდა გათავისუფლდენ კატორღის მუშაობისაგან და გადირიცხონ გაგზავნილ—დასახლებულთა წრეში.

22) ყველა ბოროტ-მოქმედებისა და დანაშაულობისათვის, რომელნიც სიცხლის სამართლით კანონებით უნდა გასამართლდენ ამავე მანიფესტის მიხედვით და რომელნიც მოუხდენია ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ვადა-განწესებული სამსჯავრო კანონებით უნდა შემცირდეს ერთი მესამედით.

XIV. რომელთაც უკანონო მოქმედება ჩაუდენიათ, ან დაურღვევიათ წესები, რომლის გულისთვისაც იმათ დაედებათ ადმინისტრატიული განკარგულებით ჯარიმა გადასახდელათ, უნდა გათავისუფლდენ ასეთი გადასახადისაგან იმავე ზომით და იმავე გამორიცხვით, რომელნიც განმარტებულნი არიან ზემოთ მოყვანილი ამა მანიფესტის მე-XIII მუხლის 1 და 8 პუნკტებში, თუ რომ ისინი არ იქნებიან სულ გათავისუფლებული ამ გადასახადისაგან, თანახმათ ამა მანიფესტის სხვა მუხლებისა.

XV. დამნაშავეთა მემკვიდრენი, რომელთაც უნდა გადახდესთ ხაზინის სასარგებლოთ ჯარიმა იმის გამო, რომ თვით დამნაშავეთ არ ჰქონიათ გადახდის შეძლება, უნდა განთავისუფლდენ ასეთი გადასახადისაგან, თუ რომ დღიდან ბოროტ-მოქმედების ჩადენისა ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე გასულა ათი წელიწადი.

XVI. ტყის სახელმწიფო მოხელეთა და სახაზინო ტყის მცველთა, თუ რომ იმათ და გლეხებს, რომელთაც ტყე მოუჭრიათ, არა აქვთ შეძლება ჯარიმის გადახდისა, და არიან კი დასჯილნი უყურადღებობისა და უწესოთ მოქცევის გამო ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ეპატიეოსთ გადასახადი.

XVIII. ვინც გაქცეულა და მიმალულა, რომ სამხედრო სამსახურისგან თავი ეხსნა, თუ რომ ისინი გამოცხადებულან ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ან თუ გამოცხადდებიან ერთი წლის განმავლობაში, იმათ ეპატიეოთ დანაშაულობა და განთავისუფლონ სამართლის დევნულებისაგან.

XIX. ვინც გავარდნილია და უმოწმობოთ დახეტიალობს, ან სხვა-და-სხვა ალაგს იმალება და ამისთვის სასჯელში მიუციათ ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, იმათ ეპატიევებათ თავისი დანაშაული და რაკი სამართლით დამტკიცდება მათი ვინაობა, ნება ეძლევათ მიწეროონ რომელსამე საზოგადოებას, თუ რომ საზოგადოება მიიღებს მათ. ხოლო იმ პირთა, რომელნიც ვალდებულნი არ არიან რომელსამე საზოგადოებას მიეწეროონ, ნება ეძლევათ დაბრუნდენ ევროპის რუსეთში და იცხოვრონ, სადაც უნდათ, გარდა სატახტო ქალაქებისა და სატახტო გუბერნიებისა.

XX. უნდა მიეცესთ კანონიერი ბილეთები საცხოვრებლათ იმ პირთა, რომელთაც აქამდის ამის უფლება არ ქონდათ თანახმათ 1510 მუხლის 2 პუნქტის დამოქმის წესდებულებისა (კანონთ კრება, ტომი VI გამოცემა 1892 წლ.), თუ რომ იმათ ათის წლის განმავლობაში დღიდან ჩვენის გვიდგვინის კურთხევისა არ დაურღვევიათ დამოქმის წესდება.

XXI. რომელნიც საზოგადოებათა დადგენილებით განძევებულნი ყოფილან ციმბირს, ან გასაძევებლათ არიან გამზადებულნი ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე, ან თუ არ მიუღიათ ისინი იმ საზოგადოებებს, საიდანაც გამოუძევებიათ, მაგრამ თავისი უმართებულო მოქმედება შეუნანიათ, მთავრობაც მათ აძლევს კარგს მოწმობას, იმათ ნება ეძლევათ სამ წელს შემდეგ მათის გადასახლებისა, გადვიდენ სხვა გუბერნიაში და სხვა საზოგადოებაში საცხოვრებლათ გარდა იმ საზოგადოებისა, საიდანაც ისინი განუძევებიათ.

XXII. კავკასიის მცხოვრებთა, აგრეთვე თურქისტანელთა, მინდვრის ქვეყნელთა, კასპიის იქითა ქვეყნელთა, რომელნიც მთავრობის განკარგულებით გაგზავნილან ბოროტ-მოქმედებისა და უზნეო ყოფა-ქცევისათვის დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა და ისინი დაუსახლებიათ ევროპისა და აზიის რუსეთის ქვეყნებში, თუ რომ ისინი რიგიანი ყოფა-ქცევისანი აღმოჩენილან იქ, საცა გადაუსახლებიათ, მიენიჭოსთ მათ: უვადოთ გაგზავნილებს — თორმეტ წელს შემდეგ, ხუთი წლით მეტს გაგზავნილებს — ხუთ წელს შემდეგ და ხუთ წელზე ნაკლებ გაგზავნილებს — ნახევარ ვადას შემდეგ — განთავისუფლება პოლიციის მხედველობისაგან, უფლების მინიჭება საცა უნდათ იცხოვრონ, გარდა სატახტო ქალაქებისა და სატახტო გუბერნიებისა, გარდა კავკასიისა, თურქისტანისა, მინდვრის ქვეყნისა და კასპიის იქითა მხრისა; და უკეთუ ამ გაგზავნილებს თავის ქვეყნებში დაბრუნება სურთ, იმათ უნდა შეეეედრონ იმ ქვეყნების ადგილობრივ უმაღლეს მთავრობას და მათი ნებართვა უნდა აიღონ თავის ქვეყანაში დაბრუნებისათვის.

XXIII. არ ეტოვებთ უმოწყალოთ სახელმწიფო დამნაშაევთაც:

1) ნებას ეაძლევთ შინაგან საქმეთა მინისტრს სამოსამართლო მინისტრთან შეთანხმებით იშუამდგომლოს ჩვენ წინაშე იმ პირებზე, რომელთაც სახელმწიფო დანაშაულობა ჩაუდენიათ, მაგრამ თავისი შენანებით და კეთილი ყოფა-ქცევით დაუმსახურებიათ მიტევება. რადგან მათი პატიევება ამ მანიფესტის ძალას აღემატება, ამისთვის ნებას ეაძლევთ მათ სრულ-ქვეშევრდომობითი მოხსენებით განგვიცხადონ და იშუამდგომლონ ჩვენ კეთილმნებელობას წინაშე, რომ დაუბრუნოთ უწინდელი უფლებანი იმ ციმბირში გაგზავნილებს, რომელთაც ვადა გასელიათ იქ ყოფნისა და თავისი კეთილი ყოფა-ქცევით და შრომით დაუმსახურებიათ პატიევება.

2) ნებას ეაძლევთ შინაგან საქმეთა მინისტრს ფერხთა ქვეშ დაგვიდვან ჩვენდა საყურადღებოთ მდგომარეობა იმ პირთა, რომელნიც სახელმწიფო დანაშაულობისათვის უკვე ასრულებენ თავის სასჯელს, ადმინისტრატიულის წესით გადაწყვეტილს და რომელნიც თავისი შენანებით და მათზე კეთილი აზრის შედგენით ღირსი არიან მიტევებისა. აგრეთვე უნდა განათავისუფლონ ისინი, რომელთაც აკრძალული აქვთ ნება ყოველგან ცხოვრებისა, ამ სასჯელისაგან, თუ რომ იმათს დაბრუნებას იმ ადგილებში არავითარი საპატიო მიზეზები არ აღმოუნდება და საზოგადოების წესსა და მშვიდობიანობას არ დაარღვევს.

3) სახელმწიფო დამნაშაევთა საქმეები, რომელთაც კანონით ვადა არა აქვთ (სისხლის სამართ. კანონები მუხლი 161) პატიევებისა და რომელნიც ჩვენი გვირგვინის კურთხევამდე თუთხმეტის წლის განმავლობაში საიდუმლოთ ინახებოდენ, ვბრძანებთ, რომ ამ დამნაშაევთა წინაალმდეგ სამართლით დევნულება მოისპოს.

4) ვბძანებთ აგრეთვე მიეცეს დაეიწყებას ყველა საქმეები შესახებ ბოროტ-მოქმედებათა, რომელ-

ნიც აღნიშნულნი არიან სისხლის სამართლის კანონების მუხლებში 246—248, რომელნიცა დღემდე ჩვენის გვირგვინის კურთხევისა იყვენ საიდუმლოთ დარჩენილნი. ვინც კი შეწამებულ იქმნა ამ ბოროტ-მოქმედებაში, ან დასჯილია და იხდის თავის სასჯელს, ისინი უნდა განთავისუფლდენ სრულიათ პასუხის-გებისაგან და სასჯელისაგან ყოველი შედეგებითურთ, და მიენიჭოსთ რაც უფლებანი დასჯამდე ჰქონიათ მათ და მათ კანონ ერ შეილებს, რომელნიც დაბადებულან შემდეგ მათის მამის დასჯისა, მხოლოთ ქონებრივი უფლება არ დაუბრუნდებათ.

5) ნებას ვაძლევეთ შინაგან საქმეთა მინისტრს წარმოგვიდგინოს ჩვენდა კეთილ განსახილველათ შუამდგომლობა შესახებ იმ პირთა, რომელთაც მოუხდენიათ სახელმწიფო დანაშაულობა, თავის ნებით დაუგდიათ სამშობლო, გასულან საზღვარ-გარეთ და შეჰფარებიან სხვა სახელმწიფოს, უკეთუ მათ სისხლის სამართლის კანონების 241 მუხლში ნაჩვენები ბოროტ-მოქმედება არ ჩაუდენიათ და სურთ უკან დაბრუნება და თავისი ერთგულებით ჩვენის ტახტისა გამოსყიდვა თვისი დანაშაულობისა.

6) ამა მანიფესტის მოწყალების მიფენა, რომელიც ნაჩვენებნი არიან მე-XIII მუხლის 16, 17, 18 და 19 პუნკტებში (ასოები ბ, გ და დ) სახელმწიფო დანაშაულობისთვის დასჯილ პირებზე მიგვინდია შინაგან მინისტრისთვის (საპოლიციო განყოფილებაში), უკეთუ ის დარწმუნდება მათს კეთილ ყოფა-ქცევაზე. თუ სურთ ამა მანიფესტის მე XIII მუხლის მე-16 პუნკტის ძალა მიეფინოს იმ გაგზავნილ-დასახლებულ დამნაშაეთა, რომელნიც თავისი ცუდი ყოფა-ქცევით მოკლებულნი იყვენ წინათ გამოცემული მანიფესტების მოწყალებას, იმ შემთხვევაში ვადა ასეთ დამნაშაეთა ციმბირში ცხოვრებისა იმ დღიდან კი არ უნდა ინგარიშონ, როცა ისინი პირველ მისულან ციმბირში, არამედ ყოველი შემთხვევ-სათვის ცალკე უნდა განმარტონ შინაგან საქმეთა და სამოსამართლო მინისტრებმა ერთმანეთთან შეთანხმებით.

XXIV. ვინც სამართალს და გამოძიებას ექვემდებარება და ამ მანიფესტის ძალით უნდა განთავისუფლებულ იქმნას სასჯელისაგან, მაგრამ თუ თვითონ დარწმუნებულია თავის სიმართლეზე, ნება აქვს მას შემდეგ, როცა სასამართლო მოსპობს მაზე საქმის წარმოებას, ერთ თვეს იქით ითხოვოს დაინიშნოს კელაე მაზე ხელ-ახალი გამოძიება. აგრეთვე ვინც თავის მოქმედების გამო სამართალში და გამოძიებაში მიცემულია და ამ მანიფესტის ძალით უნდა განთავისუფლდეს, თუ რომ არ სურს ისარგებლოს ამ მანიფესტის ძალითა, იმას ნება აქვს დანიშნულ ვადაზე ითხოვოს, რომ დაბოლოვდეს მისი საქმე კანონით დადგენილი წესით. ამას შემდეგ არც ერთს მათგანს, უკეთუ ისინი სამართალში გამტყუნდენ, ნება აღარ აქვთ ისარგებლონ ამ მანიფესტის წყალობით.

XXV. თუ ჩვენი კურთხევის დღემდე გადუხდეენებიათ კუთვნილი გადასახადი ფული, ან თუ სხვა-და-სხვა დაწესებულებებში არიან სარგებლიანი ქაღალდები და ფულები შეტანილი გადასახადების დასამაყოფილებლათ, ისინი ამ მანიფესტის ძალით აღარ დაუბრუნდებიან მეპატრონეებს, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც მანიფესტის პირველი მუხლის 1—13 პუნკტებში არის მოხსენებული. მაგრამ თუ მოსამსახურე პირებს, რომელთაც ედებათ ხაზინის ფული, დაუჭერეს მათი საკუთარი ფული, არ იქნებიან მოკლებული უფლებას მათი ფული უკანვე დაუბრუნდესთ, უკეთუ მანიფესტის ძალით ნაპატიები აქვთ.

XXVI. თუ რომ რაიმე ეჭვი აღიძრა ამ მანიფესტის რომელიმე მუხლის ხელმძღვანელობაზე მოვალს სხვა-და-სხვა შემთხვევაში, მაშინ ყველა მთავრობის დაწესებულებანი მოვალენი არიან შეეკითხონ მმართველი სენატის პირველს დეპარტამენტს განსამარტებლათ, ხოლო ეისაც იმპერატრიცის მარიამის დაწესებულებათა ფული დადებიათ გადასახდელათ, იმათ შესახებ უნდა მიიქცევ საკუთარი ჩვენი კანცელარიის უმთავრესის გამგეს საშუალებით იმპერატრიცის მარიამის დაწესებულებათა საპეკუნო რჩევისადმი. ხოლო მმართველი სენატი და პეკუნის რჩევა იმ შემთხვევაში, როცა მათ უფლებას აღემატება რომელიმე სამძიმო საქმის გადაწყვეტა, უნდა მოიქცენ ჩვენდამო და გვთხოვონ ნებართვა დადგენილი წესისამებრ.

XXVII. დიდი სამთავროის ფინლანდიის ჩვენ ქვეშევრდომთათვის უნდა გამოიცეს ცალკე დადგენილება.

გამოიცა პირველ სატახტო ქალაქს მოსკოვს დღესა 14 მაისსა, ქრისტეს დაბადებას აქეთ ათას რვაას ოთხმოცდა თექვსმეტსა, ჩვენის მეფობის მეორესა წელსა.

ნამდვილზე საკუთარი მისი იმპერატორებითი დიდებულების ხელით მოწერილია:

„ნიკოლოზ“

Доз. ценз. Тифлисъ, 1 Іюня 1896 г. — Тип. М. П. Ротиніанца სტამბა, ქ. ფ. როტინიანცისა Гол. пр., № 41.